# საერთო გაზეთი

№40 (732)
ოთხშაბათი
13 დეკემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.



ფოტო: ხელოვნური ინტელექტისა

## რატომ მოიშორა უკრაინამ მიშა ომის წინ

## ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

ლამის ფიცს აძლევდა, უკომპრომისო ბრძოლაში შევალ რუს ოლიგარქთან და მის რეჟიმთანო. თურმე სადა ვართ!..





## მიეცით ნიჭსა გზა ფართო...

სავალალოა: ქართველი ბავშვები მათემატიკის ცოდნაში 62-ე ადგილს იკავებენ, წაკითხულის გააზრებასა და ბუნებისმეტყველებაში კი – 67-ეს

## მოსახლეობის ძარცვის ახალი ტექნოლოგიები

დამოწმებულ ავტორიტეტულ სპეციალისტებსა და პაციენტებს შორის, შესაძლოა, შენი გვარ-სახელი ან ფოტოც აღმოჩნდეს.




## „რა სარგებლობას მოგვიტანს“ დღეს არსებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

# ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ხარისხიანი განათლებაა



„მოგესალმებით პატივცემულო მეგობრებო, პარლამენტისა და მთავრობის წევრებო, საპატრიარქოს წარმომადგენლებო, ძვირფასო ელჩებო, ძვირფასო პედაგოგებო, მასწავლებლებო, ჩემო მეგობრებო. ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. ბატონმა მინისტრმა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო და დღეს პატივი გვაქვს, რომ წარმოგიდგინოთ ძალიან მნიშვნელოვანი ხედვა და სტრატეგია, თუ როგორ ესახება მთავრობას და სამინისტროს ზოგადი განათლების განვითარება. ბატონმა გიორგიმ დანიშვნისთანავე ძალიან აქტიურად დაიწყო მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები დაამუშავა, წარმოადგინა თავისი ხედვა, სტრატეგია, თუ როგორ უნდა განვითარდეს, გადავიდეს სხვა ეტაპზე, სხვა სიმაღლეზე განათლების ყველა საფეხურზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლების დროს, ბოლო 11 წელიწადში ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები განვახორციელეთ, გამოწვევები კვლავაც რჩება სისტემაში, ვინაიდან, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა, ძალიან დიდი დარტყმა მიადგა განათლების სისტემას. არაერთი მცდელობა იყო ტრანსფორმაციის, განახლების, განვითარების, მაგრამ შემდეგ იყო ვითომ რეფორმები 2004 წელს ჩატარებული, შეიძლება ითქვას, რომ მოანგრიეს მთელი სისტემა და რაღაც ახლებური ხედვა იქნა წარმოდგენილი, რომელიც ემსახურებოდა რაღაც ექსპერიმენტების ჩატარებას ჩვენს ახალგაზრდებზე. რაღაც ახალი ქართველის, ახალი ადამიანის გამოყვანა სურდათ მათ. მე ასე ვიტყოდი, რომ რეალურად, ეს იყო მცდელობა, რომ შეეცვალათ ჩვენი ეროვნული იდენტობა, ჩვენი დნმ, ქართველობა. ეს იყო აბსოლუტურად გაუაზრებელი, ილუზია, უტოპია, რომელიც ძალიან მალე დასრულდა.

მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ბევრმა მინისტრმა ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები წამოიწყო, ძალიან ბევრი საქმე გააკეთა, ძალიან ბევრი რეფორმა განხორციელდა, მაგრამ ახლა ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები და ჩვენს მინისტრს, ბატონ გიორგის აქვს ძალიან კარგი ხედვა, კარგად გააზრებული. მე მინდა, პირველ რიგში ვთქვა, რომ ჩვენთვის მთავარი არის ხარისხიანი განათლება. ეს რჩება ჯერ კიდევ დღეს მთავარ გამოწვევად ხარისხიანი განათლება და ამაზე მიუთითებს ყველა ის კვლევა. მთავრობას კარგად აქვს გააზრებული ამ საკითხის მნიშვნელობა და ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და მხარდაჭერა გაგრძელდება. ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიის პრესტიჟის ამაღლება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ჩვენი მთავრობის. ამ მიზნით ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას მასწავლებელთა მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელების და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესების კუთხით.

მინდა აღვნიშნო რამდენიმე სიტყვით მზარდ ბიუჯეტზე. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი იყო 626 მლნ ლარი. წელს ბიუჯეტი იყო 2 მილიარდ 77 მილიონი ლარი და გაისად, 2024 წელს იქნება 2 მილიარდ 508 მილიონი. 300%-იანი ზრდა გვაქვს განათლების და მეცნიერების ბიუჯეტის.

რაც შეეხება სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებას. მოგეხსენებათ, რომ შარშან, ჩემი დავალებით, დავიწყეთ მასშტაბური პროგრამა. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბევრი სკოლა აშენდა და რეაბილიტირდა ბოლო წლებში, ჩვენ დავიწყეთ 1000-მდე ახალი სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა და მინიმუმ მილიარდი ლარი დაიხარჯება ამ პროექტის ფარგლებში და ყველა სკოლა, 2027 წლისთვის იქნება რეაბილიტირებული და აშენებული ერთიანი, შეიძლება ითქვას ევროპული სტანდარტის მიხედვით. ყველა სკოლა საქართველოში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი შვილები, ჩვენი ბავშვები და ჩვენი მასწავლებლები ღირსეულ პირობებში ატარებდნენ დღეს, იღებდნენ ცოდნას და ასწავლიდნენ ჩვენს შვილებს. შარშან უკვე დავაკონტრაქტეთ რამდენიმე ასეული სკოლა, წელსაც უკვე მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და გაისად, 2024 წელს ასევე დაგეგმილია



რამდენიმე, დაახლოებით 250- მდე ახალი სკოლის ჩასმა, რეაბილიტაცია და მშენებლობაც.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ეს არის მასწავლებლების ხელფასების ზრდა. თუ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟზე გვაქვს საუბარი, არ შეიძლება, რომ მასწავლებლის ხელფასი იყოს დაბალი, არ იყოს შესაფერისი. 2012 წელს მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება იყო 330 ლარი. წელს უკვე, მას შემდეგ, რაც ჩვენ არაერთხელ გავზარდეთ ხელფასი, მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის დაახლოებით 1200 ლარამდე. ეს არ არის საკმარისი, ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და მნიშვნელოვნად გავზარდეთ ხელფასები მასწავლებლებისთვის. საშუალოდ 500 ლარით გაიზრდება სრული დატვირთვის შემთხვევაში, მასწავლებლის ხელფასი. 500 ლარით და მეტით,. ზოგ შემთხვევაში 600, 700 და 800 ლარითაც კი და 1700 , 1800 ლარი გახდება მასწავლებლის ხელფასი. ასევე მინდა ვთქვა მნიშვნელოვანი წამოწყების შესახებ, რომელზეც ბატონი მინისტრი ისაუბრებს. 2004 წელს იქნა მიღებული განათლების ეროვნული მიზნები და მას შემდეგ არ განახლებულა. ამიტომ, საჭირო არის ახალი ხედვის ჩამოყალიბება და ამაზე ბატონი გიორგი ისაუბრებს. განახლებული მიზნები, მეგობრებო, დაეფუძნება მოსწავლეებში ეროვნული იდენტობის გაძლიერებას, ჯანსაღი ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და მოზარდების ცნობიერების ამაღლებას. პატრიოტიზმის, ქართული ტრადიციების, კულტურის და ოჯახის ფასეულობების კუთხით. ასევე, მინისტრს აქვს ძალიან კარგი ხედვები, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლების ზოგადად, უფრო მეტი ავტონომიურობა, როგორ უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია და გარკვეული უფლებების დელეგირება. რა თქმა უნდა, ცენტრალურ ნაწილში უნდა დარჩეს მხოლოდ განათლების პოლიტიკა. ასევე, გვაქვს ხედვა, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, როგორ მოხდება განახლებული დოკუმენტის წარმოდგენა. მე ასევე მინდა ვთქვა, რომ მთლიანობაში, ჩვენ ძალიან მალე მივიღებთ ძალიან ხელშესახებ შედეგებს. ჩვენი მთავარი მიზანი არის ის, რომ ყველა ის საქმე, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, არ იყოს ფასადური, დროებითი, ეს იყოს კარგად გააზრებული და, რაც მთავარია, შედეგი მოიტანოს ყველა იმ ცვლილებამ, რომელსაც ვახორციელებთ. ეს ტრანსფორმაციის პროცესი გაგრძელდება, ძალიან ინტენსიურად.

„ მინდა ასევე ერთ საკითხზეცმოგახსენოთ. ბოლო პერიოდში, შემთხვევითი არ არის, რომ თითქმის ყოველდღე მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანია მიმდინარეობს სამინისტროს წინააღმდეგ, მინისტრის წინააღმდეგ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბატონი მინისტრი და მისი გუნდი კარგად მუშაობს, სწორ საქმეს აკეთებს. რა თქმა უნდა, ამ საქმეს ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ. მე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გიორგი ამილახვარს და მის გუნდს, კიდევ ერთხელ და და ვუსურვო წარმატებები“,- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# თბილისი ევროპის ყველაზე ცოცხალი დედაქალაქი




„ადგილობრივი ღვინო, საბაგირო და ღამის ცხოვრება - თბილისი ევროპის მეორე ბერლინი ხდება“, - გავლენიანი ბრიტანული გამოცემა თიმეს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ წერს. გამოცემის ჟურნალისტმა კრის შალკმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა და თიმეს-ის მკითხველს დედაქალაქში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა.

„საბჭოთა ეპოქის საწყობებსა და საუკუნის წინ აშენებულ სახლებში თანამედროვე ბუტიკური სასტუმროები და ბარებია მოწყობილი, სადაც ნატურალურ ღვინოს დალევთ. თბილისს უკვე აქვს მეორე ბერლინის რეპუტაცია, ქალაქი ცნობილია ღამის კლუბებითა და ბარებით, მაგრამ თბილისი უფრო მეტია, ვიდრე ჰიპსტერული სტილი. აბრეშუმის გზაზე მდებარე ქალაქი მონღოლი ხანების, სპარსელი შაჰებისა და რუსი მმართველების ხელიდან ხელში გადადიოდა. თითოეულმა მათგანმა თავისი კვალი დააჩნია ქალაქის კალეიდოსკოპურ არქიტექტურასა და კულტურულ ისტორიას. აქ შეხვდებით შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეებს, საბჭოთა ნაგებობებს, გზისპირა სასტუმროებს. აქაური ურბანული ცხოვრების შესწავლის შემდეგ გელოდებათ საქართველოს თოვლით დაფარული მთები, დროში გაჩერებული სოფლები და ეს ყველაფერი მატარებლით ან მანქანით ძალიან ახლო მანძილზეა“, - წერს თიმეს-ის ჟურნალისტი.

სტატიაში აღწერილია ძველი თბილისი, ეკლესიები, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ღვინის მუზეუმი, ღვინის ბარები, მშრალი ხიდის ბაზრობა, კვების ობიექტები და სასტუმროები. კრის შალკი მკითხველს თბილისის ცენტრში ფეხით მოგზაურობას ურჩევს, სხვადასხვა უბნებში კი მეტროსა და ავტობუსის გამოყენებას სთავაზობს.

# ის პოლიტიკა, რასაც დღეს ევროკავშირი აწარმოებს, მალე მას დაშლამდე მიიყვანს



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, ორბანის ბოიკოტი კვლავ ძალაშია. მისი თქმით, უკრაინა ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა და ევროკავშირი მის სრულფასოვან წევრად მისაღებად მზად არ არის.**

— მოვლენები საინტერესოდ და, ამავდროულად, ტრაგიკულად ვითარდება იმ ევროპისთვის, ვისაც ისეთი მაღალი რანგის პოლიტიკოსები ჰყავდა, როგორებიც ნაპოლეონი, დე გოლი, ჩერჩილი, ტეტჩერი და სხვანი იყვნენ. ევროპის დღევანდელი პოლიტელიტა, უბრალოდ, არარაობაა. მათ შორის ერთ-ერთი მაკრონია, რომლის მმართველობა საფრანგეთის ისტორიაში სამარცხვინო სახელით შევა. ევროპაში ერთადერთი გამორჩეული პიროვნება, რომელიც საკუთარ ხალხზე ზრუნავს და ოკეანისგაღმელების მითითებებს არ ექვემდებარება, ორბანი გახლავთ. იგი ცალსახად ევროპის ინტერესებს გამოხატავს. ევროპას სუვერენიტეტი უნდა ჰქონდეს, რაც დღეს ნულის ქვემოთაა. ორბანმა ყურადღება მეტად მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა: **უკრაინა ევროკავშირში თუ გაწევრიანდა, ეს ხომ ევროკავშირის რუსეთთან ომის დაწყებას ნიშნავსო**. ნუთუ ამას არავინ უფიქრდება: არც მაკრონი, არც ბორელი, არც ლაიენი... მეორე მხრივ, ორბანმა არაორაზროვნად იკითხა: ვთქვათ, უკრაინა ევროკავშირის წევრი გახდა. რა დაემართება ასეთ შემთხვევაში ევროკავშირის აგრარულ სექტორსო?! ანუ, უკრაინა ევროკავშირის სოფლის მეურნეობას მთლიანად წალეკავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროკავშირის ბიუროკრატიულ აპარატში აბსოლუტური ბრიყვები სხედან, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი რამ ევალებათ: აიღონ ხელფასი და სახლში მიიტანონ. შორს გათვლილ პერსპექტივაში ევროკავშირის ადგილს ვერ ვხედავ. მეტიც, საბოლოო ჯამში, ის პოლიტიკა, რასაც დღეს ევროკავშირი აწარმოებს, მას მალე დაშლამდე მიიყვანს. ორბანი ევროპაში ერთადერთი ნათელი წერტილია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ იგი საქართველოს მხარდამჭერია. ორბანი მოვლენებს რეალურად აფასებს.

თუმცა, მხოლოდ ორბანი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. წინ ძალიან მძიმე ვითარება გველის. ყურადღება მივაქციოთ შემდეგს: როცა ამერიკის სენატმა უკრაინისთვის დახმარების პაკეტი არ დაამტკიცა, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ბლინკენს ასეთი რამ წამოსცდა, რატომ არ აძლევთ უკრაინას დახმარებას მაშინ, როცა ომის შემდეგ ამერიკის ეკონომიკა გაიზარდაო. უცხოელი ექსპერტების დასკვნის თანახმად, ომის შემდეგ რუსეთის ეკონომიკა 2,7%-ით გაიზარდა, ხოლო ევროკავშირისა — 1,2%-ით. რაშია საქმე?! ამ ომით ორმა ქვეყანამ — აშშ-მ და რუსეთმა ისარგებლა, რითაც, ფაქტობრივად, ევროკავშირი იძირება. ვფიქრობ, ეს ომი კიდევ დიდხანს არ დამთავრდება. ვინაიდან აშშ-ის მთავარი ამოცანაა, როგორმე ამ ომით რუსეთი და ევროკავშირი დაასუსტოს, რომელიც მისი ეკონომიკური მოწინააღმდეგეა. ფაქტია, კაპიტალისტი კაპტალისტს არ ინდობს. კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთს, უპირველესად, ეკონომიკის განვითარების გამო უპირისპირდებიან. ამიტომ რუსეთ-უკრაინის ომი, ევროპისა და უკრაინის გარდა, ყველას აწყობს. ზელენსკიმ უკრაინა უმძიმეს დღეში ჩააგდო. ეს პროქსი ომია — სხვა ქვეყნები უკრაინის ხარჯზე გამანადგურებელ ომს აწარმოებენ, რითაც მხოლოდ აშშ და რუსეთი რჩება მოგებული.

**— ბლინკენმა აღნიშნა, რომ თუ უკრაინა ფრონტის ხაზზე დამარცხდება და პუტინი გაიმარჯვებს, მთელი მსოფლიოსთვის „პანდორას ყუთი“ გაიხსნებაო.**

— ბლინკენს ერთი რამ კარგად აქვს გააზრებული, ომში რუსეთის გამარჯვება, მთელი დასავლეთის დამარცხებას ნიშნავს. როგორც ჩანს, ბლინკენი გააფრთხილეს, რომ გამარჯვებული რუსი ძალიან საშიშია. უკრაინის მიმართ კრიტიკულად ვსაუბრობ, მაგრამ სულაც არ მინდა, რუსეთმა გაიმარჯვოს. ადვილი შესაძლებელია, გამარჯვების შემდეგ მას ჩვენს მიმართ სხვა პრეტენზიები გაუჩნდეს. მადლობა ღმერთს, ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულად აზროვნებს. მისი და ჩინეთის იმედი მაქვს, რომელსაც დღეს არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო სჭირდება. ჩინეთი სამხრეთ კავკასიაში, სახელდობრ, საქართველოში რუსეთს ძალიან არ გააჯეჯილებს. ფაქტია, რუსეთი ომში გამარჯვებას აღწევს და ეს მაშინ, როცა მის წინააღმდეგ 51 ქვეყანა იბრძვის. საქმე ისაა, რომ რუსეთი ერთ ზედმეტ ნაბიჯსაც არ გადადგამს იმ პოზიციიდან, სადამდეც მისულია. აი, რა იწვევს ბლინკენის აღშფოთებას. ბლინკენებს, ბაიდენებს, რომლებიც ამ ომს წარმართავენ, რუსის ფსიქოლოგიური ბუნება უნდა გაეთვალისწინებინათ: მათ უნდა სცოდნოდათ, რომ რუსეთი ევროპის შუაგულში — ბერლინში სამჯერ შევიდა. საქმე ისე მიდის, მეოთხედაც შევა. მათ თავის დროზე არ გაითვალისწინეს დასავლეთში მყოფი ჭკვიანი ხალხის რჩევა — ნატო-ს ასე გაფართოება არ შეიძლება, რუსეთი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ამას არ მოითმენსო. ამას ამბობდა კისინჯერიც, მაგრამ არ მოუსმინეს.

**— ბატონო ედიშერ, ორბანის გადაწყვეტილება ნიშნავს თუ არა მთლიანად გაფართოების, მათ შორის, საქართველოს დაბლოკვას?**

— საქართველოს ამ არაფრისმთქმელ სტატუსს აუცილებლად მისცემენ, რადგან გეოპოლიტიკური ვითარება საკმაოდ შეცვლილია. **ორბანს ვეთანხმები — მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა უკრაინაა. ამის პირველი ფაქტი გახლავთ ის, რომ უკრაინა წლების განმავლობაში მფარველობდა კორუმპირებულ სააკაშვილს, ადეიშვილს, ლორთქიფანიძეს, საყვარელიძეს.** ჩვენი ქვეყნის მძარცველები, ყველა უკრაინამ შეიფარა. მეორე — თავად უკრაინელები, დასავლეთი აქვეყნებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ უკრაინაში ვაგონებით გაგზავნილი იარაღი დაიკარგა, ასევე, თვითმფრინავებიც. მეტიც, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და აშშ-ის შესაბამისი კომისიის მასალების მიხედვით, ბაიდენის შვილი უკრაინელ მაღალჩინოსნებთან ერთად კორუფციაშია ბრალდებული. ზელენსკის ცოლმა კი ამერიკაში ყოფნის დროს მილიონების საფასური სამკაულები შეიძინა. ასე რომ, ორბანის განცხადებები მოახლოებული საფრთხითაა განპირობებული. ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ორბანს გათავისებული არ აქვს, რას ნიშნავს რუსეთის გამარჯვება. იგი ყოველთვის სიმართლეს ამბობს და ევროპას მოახლოებული საფრთხის შესახებ აფრთხილებს. ჩნდება კითხვა: სადამდე შეიძლება ეს პროცესი მივიდეს? — ბირთვულ დაპირისპირებამდე. თუმცა ეს არ მოხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მმართველ წრეებს აშშ-სა და რუსეთში მილიარდობით ქონება იმისთვის არ დაუგროვებიათ, რომ თავი ასე გაწირონ. ჩემი რწმენით, მათ მოილაპარაკეს, რომ ომიდან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღონ. ამიტომ ომი დიდხანს გაგრძელდება, უკრაინელი ხალხი კი ყველას ფეხებზე ჰკიდია.

**— შარშან ტრიოდან ამოგვაგდეს და სტატუსის გარეშე დაგვტოვეს. ახლა კი კვლავ ტრიოში მოგვიაზრებენ და ამბობენ, ორბანის ბოიკოტი საქართველოსაც შეეხებაო. რას ემსახურება ეს განცხადებები?**

— ეს ერთადერთ რამეს ემსახურება — დასავლეთს და მისაქ მყოფ დამქაშებს სურდათ საქართველოში ხელისუფლება ძალადობრივი გზით შეეცვალათ. ამის მაგალითი იყო 7-8 მარტის მოვლენები. დღეს,




როცა მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა, კოლექტიურ დასავლეთს საქართველოში არეულობა აღარ აწყობს. ამიტომ პრეზიდენტის სკამზე დაგდებული ზურაბიშვილის მეთაურობით, მის ირგვლივ შეკრებილ ხროვას დაეგზავნა მესიჯი, რომ ამჟამად საქართველოში გადატრიალება ვერ მოხდება. მსოფლიოში მძიმე ვითარებაა შექმნილი და აქ დესტაბილიზაციის მოწყობამ შეიძლება, კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. ვიმეორებ, რუსეთი სამხრეთ კავკასიას არ დათმობს. ლავროვმა პირდაპირ განაცხადა: თუ აქ არეულობა დაიწყება, გავიძვიძებთ და დილით რუსეთის ტანკები თავისუფლების მოედანზე დაგვხვდება. და მერე შეიძლება გუბერნიის სტატუსი გაგვიხდეს სახვეწარი. რუსი კი არა, დღეს საერთაშორისო სამართალს აღარავინ ექვემდებარება!

ახლახან აქცია „ჩვენი ხმა ევროპას“ გამართეს და ხუთასი კაციც ვერ მოაგროვეს. დროშაც ვერ გაჭიმეს, უამრავი ხელისმოსაკიდი ადგილი ცარიელი დარჩა. დიახ, დასავლეთს არ აწყობს, თორემ 7-8 მარტის მსგავსი მოვლენა უკვე 5-6-ჯერ მაინც გამეორდებოდა. დასავლეთს, აქაური დავალების შემსრულებლებსაც ზურაბიშვილის პრეზიდენტობა აწყობთ, რადგან მომავალი წლის არჩევნებისთვის ემზადებიან. შედეგად, დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ელექტრონულ არჩევნებს ხარვეზები ახლავს. ზურაბიშვილის ფუნქცია კი იქნება, გამოვიდეს და განაცხადოს, საქართველოში არჩევნები გაყალბდაო. ოპოზიცია — მელია, ხაბეიშვილი, რუსეთის აგენტი ლიაკა ხოშტარია, შარვალჩახდილი გირჩი-ზურაბა ჯაფარიძე, ნომრიანი აგენტი გუბაზ სანიკიძე და სხვები, საქართველოში ხმებს ვერ აიღებენ. კოლექტიურ მეხუთე კოლონას ქართველი კაცი ხმას არ მისცემს. ამიტომ ოპოზიცია დასაღუპად განწირულია. თუმცა დასავლეთის გარკვეული ძალები ზურაბიშვილს და მის ხროვას კოზირად ინახავენ, რათა საჭიროების შემთხვევაში ქვეყანა არიონ. დიდი ალბათობით, ახლა ამისთვის არ ეცლებათ, რადგან 2024 წელს აშშ-შიც არჩევნებია.

ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ხაბეიშვილს რომ შეხვდებიან, იქ უკვე ყველაფერი დასრულებულია. აშშ-ის ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს. ასევე, არ შეიძლება მაკრონების, კუბილიუსების, კრამონების მსოფლიო პოლიტიკაში ყოფნა. ეს არის საფრთხე, რომ მსოფლიო ცივილიზაცია საერთოდ განადგურდება. ველოდები, რომ ეს საშინელი ძალა — გლობალური ომის პარტია, იგივე ნეოტროცკისტები, პოლიტიკური არენიდან წავლენ.

მინდა აღვნიშნო, რომ დღეს მმართველი ძალა აბსოლუტურად სწორ საგარეო, საშინაო პოლიტიკას ატარებს. „ქართულ ოცნებას“ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს. ახლა არჩევნები რომ ჩატარდეს, ეს პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს.

ბოლოს ნაცების გაყოფაზეც გეტყვით ორ სიტყვას. „ნაცმოძრაობამ“ რაც დათესა, ის მოიმკა. ეს პარტია საბოლოოდ მაშინ დასრულდა, როცა მას სათავეში გაურკვეველი პოლიტიკური წარმომავლობის, უვიცი, გაუნათლებელი ხაბეიშვილი ჩაუდგა. მელიას წასვლამ კი ნაცები დაასამარა. თუმცა, თავად მელიასაც სულ წამოაძახებენ პარლამენტზე განხორციელებულ შეტევას. ისიც გვახსოვს, ვინ შეიწყალა სისხლის სამართლის დამნაშავე. იგი კრიმინალია. მელიამ განაცხადა: ვინც პარლამენტში შევა „პუფი“ იქნებაო. ჰოდა, მელიაც „პუფია“, ვინ შემოაჯდება მას კისერზე, თავსა თუ სხვა ორგანოებზე, მალე გაცხადდება. ეს ხალხიც, მელიას თამადობით, აბსოლუტური პოლიტიკური „პუფები“ იქნებიან, რაზეც ქართველი ხალხი კი არ ჩამოჯდება, არამედ მათ წიხლებს დაუშენს.

**თამარ შველიძე**

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

ამ ღვთის გარეგანებს წერა-კითხვისთვის სად სცალიათ, ერთმანეთის ძიძგნაში არიან გართულები, მომავალ წლამდე მე აღარ ვახსენებ და დავემშვიდობო მაინც, სანამ მათი, ყველას ერთად აღებულის კვლავ ამრჩევი 16% ჯერ კიდევ დაკინკილობს.

ნაცსექტის მთავარი სასახლიდან გამომავალი შავი ბოლი უწყვეტად მოედინება... ინაცრება სექტის გული... მიშას უთქვამს, მე თუ არ ვიქნები, ნაცარტუტად ქცეულა ყველაფერი, მე ეგ არ ვინაღვლოო...



ისა და, გოგოებო და ბიჭებო, „პუტინის ოცნება“ და „რუსი ოლიგარქი“ რომ არ გაამდიდროთ, ბოლო ვინც გახვალთ, შუქი მაინც ჩააქრეთ!

აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერება“ გამახსენა ამ ნაცგადარბენამ...

პირველ სექტემბერს პირველად რომ მიმიყვანეს სკოლაში და პირველად დავინახე პირველი მასწავლებელი, ის დღე არასდროს დამავიწყდებაო. მასწავლებელმა პირველი შეკითხვა დაუსვა თურმე კლასს: ბავშვებო, ვინ გიყვართ ყველაზე მეტადო? აჟრიამულებულა კლასი, ვინ დედას გაიძახოდა, ვინ — მამას. მასწავლებელს თვალები დაუქაჩავს, არ არის სწორიო! ბავშვები შეშინებულან და დაბნეულან, მხოლოდ, ცალკეული გაბედულები წამოძახებდნენ: „ბაბუა“, „და“, „ძმა“... ძარღვებაშლილი მასწავლებელი ოთახში დარბოდა და ცივი ხმით კიოდა: არ არის სწორი! არ არის სწორი! კლასი გარინდულა და თავზარდაცემულები ცახცახებდნენ.

„მასწავლებელი კარგახანს ჩუმად მოგვჩერებოდა, მერე დაცინვით შემოგვხედა და ღვარძლიანი ხმით იკითხა:

— როგორ, ბავშვებო, თქვენ ლენინი არ გიყვართ?

ამის გაგონება იყო და მთელმა კლასმა დაუფიქრებლად ერთხმად ვიბღავლეთ:

— გვიყვარს! გვიყვარს! გვიყვარს!“

ჰოდა, აკაკი ბაქრაძის პირველი მასწავლებლისა არ იყოს: თქვენ ჩვენის არაპატივცემულებო, „მიშა ჩამოდი“ არ გიყვართ, აღარ გიყვართ თუ არც არასდროს გყვარებიათ, მხოლოდ საკუთარ თავს ხედავდით იმ დაცურებულის ავკაცობებში და საკუთარ ეგოს ასე იკმაყოფილებდით?

სად გარბიხართ, რომ გარბიხართ?

მიშიკოს დემენცია აღარ აქვს, აღარც მილიონ სჩემტა დაავადება, მოწამვლის ნიშნები, გვამური ლაქები, სიყვითლე, პირიდან აცეტონის სუნი, კუჭში გაუვალობა, კიდურების ატროფია და ყველას რა ჩამოთვლის, ის დაავადებები? აღარც რაღაც „ჯიპიდან“ ასხივებენ და აღარც ციდან, კაცო?

ამას რა დამავიწყებს: გორის ჰოსპიტალში მესამე პრეზიდენტზე რამდენჯერმე იძალადეს უცხოპლანეტური ცივილიზაციის წარმომადგენლებმა. მაგნიტური ტალღები დაშიფრულია და უკვე გადავეცით საელჩოებსო, — გამოქლიავების დამადასტურებელი შედევრია!

მთლად კარგად გამხდარა და ახლა გარბიხართ?

რა ვიცი, გენაცვათ, „იმერულ ესკიზებში“ რომ დაიყვირებს ერთი, „მიცვალებული ადგაო“ და ჭირისუფლები და სამძიმარზე მისულები ერთმანეთს ასწრებენ ღობე-ყორეებიდან თავის დამკვრელებიანად, ისე ასწრებენ ერთმანეთს ნაცსექტიდან გაქცევას მამალ-მამალი დედალ-მამალი ნაცები. ისე გამოვარდა ბადრი შუბლაძეც, კინაღამ გრიშა ონიანს გამოედო ფეხებშუა...

რომ ვამბობ, დაცურებულები არიან-მეთქი, არ მეთანხმებით!

ლევან ხაბეიშვილი და მისი მართვის სტილია მიუღებელიო; ჩვენ არავინ გვაგდებს რამედო; განსახვავებული აზრის გამოთქმის უფლება აღარ გვაქვსო; ისაო და ესაო — მერაბიშვილ-კეზერაშვილი არიან ნაცმოს რეალური მმართველებიო.

გადარევთ ჩვენი გამჩენი ღმერთი!

ბიჯო, აბა, ამ გვრიტივით „ხაბეს“ რას ერჩიან? დადის ბიჭი ფართო ღიმილინაკრავი, გულით სურს ყველას გასაჭირის გათავისება; საკუთარ თავზე იღებს მუშტსაც, წიხლსაც და ბუნების სტიქიის დაშოშმინებასაც, ესენი კიდევ გაიძახიან, „ხაბე“ გვჩაგრავსო!

„რა მიზეზით ითხოვენ ლევან ხაბეიშვილის გადადგომას, ვერაფრით ავხსენი; რასაც ვხედავ, ის არის, რომ მათთვის მიუღებელია არჩევნების შედეგები — ეს ფაქტია, მაგრამ ცუდი რა არის, იცით? მზად არიან, პარტია დატოვონ, დაანგრიონ ან დააზარალონ. არც მიშას მოწოდებაზე და მანიფესტზე აქვთ რეაგირება, მორიდება, ხათრიო“, — წუხს ბადრი მებურიშვილი და მართალია ეს კაცი. აი, ასეთი, დიახ, ასეთი, მხოლოდ ასეთი მწამს ნაც-ფანატი!

ნაცსექტის ხაზინადარი, ნაცსექტის შიდა რისხვა-ხერხემალი და ნაცსექტის მამათაგანი ამბობენ, რომ ლევან ხაბეიშვილი არის ნაცთა შორის რჩეული და დახეთ, არ უჯერებენ!

„ხაბე-კაცი“ ვიღაც გიოს რომ დაბადების დღეს ულოცავდა, ჩემთვის უძვირფასესო და უვაჟკაცესო პატრიოტო ქართველო, ამაყი ვარ შენი განვლილი გზითო, რატომ უნდა დავინტერესებულიყავი, ვინ იყო ადრესატი, როცა ტექსტშივე იკითხებოდა, რომ ვიღაც „ძალიან ნაცი“ იყო?

არც იმან მიმიზიდა, ლამის ფიცს რომ აძლევდა, უკომპრომისო ბრძოლაში შევალ რუს ოლიგარქთან და მის რეჟიმთანო. თურმე მწარედ ვცდებოდი!

ისევ თვითონ გამაგებინა, რომ მისი ძმა (ძმა ჰყოლია. შეხედავ, ისეთი თბილი ჰაბიტუსი აქვს, კეთილშობილების განსახიერება გეგონება, სათნო და ბუნჩულა, რომ ენდობი, ისეთი) გიორგი ხაბეიშვილი, თურმე 13 წელი ემსახურა სახელმწიფოს როგორც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მაიორი, მიღებული აქვს ჯილდოები და 10 წელი არ ენახა „ხაბეს“. ახლაღა შეხვდა ვაშინგტონში.

ჩავეძიე, რამ დააშორა მოყვარული ძმები ერთმანეთს-მეთქი, თან წლები უკან გადავთვალე და ბიჯოს! 2013 წელს წასულა (თუ გაქცეულა?) საქართველოდან. უფრო ჩავეძიე და — „იცავდა პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახს საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად. 10 წელია, იმყოფება „დევნილობაში“ და მოწყვეტილია მის მიწა-წყალს“.

ამ ავ ცუგრუმელებს „დიდი ხაბეს“ მოსმენა არ უნდათ, მის დაწერილს რატომ წაიკითხავენ, ამიტომ, ვინმემ მაინც ჩასჩურჩულეთ, რომ პეტრე ცისკარიშვილმა ტყუილად არ დაჰკრა ჩაქუჩი — 2025 წლამდე ნაცსექტის არჩევნები არ იქნება!

ჩურჩულით მაინც გააგებინეთ, რომ „ხაბე“ არიოლ-რეშკათი, ან ლოტოტრონში ამოსული კანდიდატურა არ არის, ის ნაცსექტის დიდი მამების დასმულია მათ ნაცვლად, მათი ენა და საქმეა! მორჩილი და ყურმოჭრილი ტიპი-ფუტლიარი ვის დაჰკარგვია, მისი ძმაა ის კაცი, ვისაც მიხეილ სააკაშვილი 13 წელი ანდობდა საკუთარ უსაფრთხოებას და აქ წყდება ყოველგვარი ახსნა-განმარტება, „ბაზარი მოკლე“ და დასრულებულია — მიხეილ სააკაშვილი არასდროს ინტერესდებოდა ვინმეს ინტელექტით, მისთვის მთავარი ყმის ერთგულება იყო!..

მიდი, „ხაბე“, დაღლამდე შეუბერე!

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

სალოლ, „ხაბეს“ ძმაო, გიო!

ეჭვი მაქვს, „ხაბე“ ნაცსექტის უცვლელი თავმჯდომარე იქნება იმ დრომდე, სანამ მამათაგანი ასე ისურვებს. „ხაბე“ ხომ ის ბიჭია, რომელსაც ბედნიერებისთვის მცირედიც ჰკმარა. ეტყვის „უფროსობა“, გეყოფა, ახლაო და ეყოფა; მიდექი კუთხეშიო და მიდგება, ზოგიერთებივით ჯგიმვას კი არ დაიწყებს, ნაცსექტის ბურჯი ვარო.

ეს ვერსია ვისაც არ მოგწონთ, მეორეც მაქვს — ნაცსექტაში აჩრდილი დადის, აჩრდილი „რუსი ოლიგარქისა!..“

ჩვენი ლევან ლომგული! — მზად ვარ, დარტყმები საკუთარ თავზე ავიღოო.

გვჯერა, ლომგულ, გვჯერა!

პირადად მე ვინმე ლევან ხაბეიშვილის არსებობის შესახებ მას შემდეგ შევიტყე, როდესაც ერთსა და იმავე ტიპს სხვადასხვა სიტუაციებში ვიღაცები უბაზუნებდნენ ხოლმე ხშირხშირად. მაშინ ვიკითხე, ეს უბედური ვინ არის, სულ ამას რატომ სცემენმეთქი? მიპასუხეს, ლევან ხაბეიშვილია, ისეთი როჟაა, ცემას ითხოვსო. ჰოდა, ეჭვგარეშეა, დარტყმებს გაუძლებს კი არა, ერთი-ორი იქნებ, თვითონაც შემოირტყას ჩაროზად.

კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ ისეთს იტყვის, შესაძლოა, მართლა წაგიცდეს ადამიანს ხელ-წიხლი. „ვძლიერდებით, ვიზრდებით და ვემზადებით „რუსული ოცნების“ დასამარცხებლად! ქართველმა ხალხმა პირველი რაუნდი მოუგო „რუსულ ოცნებას“, „რუს ოლიგარქ ივანიშვილს“, — დაახეთქა ამ ჭანჭიკამ, ჩემი აზრით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის სავარაუდო მიღებაზე.

ზოგჯერ თავისებურად წაუფრიკინებს კიდეც, მაგრამ არა უშავს, ის ამჯერად იუპიტერის ადგილზეა სექტაში და ეპატიება — „მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, რომ პოლიტიკური საბჭო გაფართოვდეს, დღეს საქმით ვუპასუხეთ და 20 ადამიანი დაემატა პოლიტიკურ საბჭოსო“, — დაარეხვა „ხაბე-გამფართოებელმა“ და ტრაპზე ბოლომდე არ იყო აბღოტებული, ყველაზე მნიშვნელოვანი საქალაქო ორგანიზაცია ბავშვების ნაშენი ქვიშის კოშკივით რომ ჩამოეშალა.

„არც იშლებიან, არც მიდიან და არის ჭაობი, რომელსაც არაფერი ეშველება. იმედი მაქვს, მალე აღმოიფხვრება ეს პრობლემა — არ ვიცი,



რანაირად, ან მთლიან „ნაცმოძრაობას“ აღმოფხვრის ქართველი ხალხი რამენაირად“, — საგონებელშია ჩავარდნილი იაგო ხვიჩია, რომელიც ბახმაროს ნიავის ზნეზე ნაკლები არაფრითაა, ხან საიდან უბერავს, ხან — საიდან.

ყველაზე მეტად მურთაზ ზოდელავას გამოჩენამ გამაკვირვა, კაცი ცოცხალი ყოფილა და მე აღარცკი მახსოვდა. როგორც ნაცსექტელების წესია, მისხალი სინანული არ იკითხებოდა მის სიტყვებში — ელემენტარული, კოლექტიური დანაშაულის გამო ფასონადაც არ გამოუთქვამს ყალბი მწუხარება, თავისი სათქმელი ჰქონდა და თქვა: ესენი ამოუპირავი კრიმინალ-მილიონერები არიან „კვიპროსის დაჯგუფებიდანო“. ისეთი აზრი დამრჩა, რომ ზოდელავა ძველ ამფსონებზე მხოლოდ ერთი მიზეზის გამოა გაბოროტებული, თვითონ „კრიმინალ-მილიონერთა გაერთიანების“ მიღმა „მოტეხეს“ და ამის გამო ბოღმა ახრჩობს. სამარცხვინო კაცისებრი! გამომივიდა წესიერი, სუფთა წარსულის მქონე ნაცპროკურორი! ტიპი ისეთ ნაპერწკლებს ყრიდა მზერიდან, უცბად რომ ფურცელი და კალამ-კალმისტარი მიეჩეჩებინა ხელში აზრიან და მოტივირებულ გამომძიებელს, ისეთ და იმდენ აღიარებას ჩამოარაკრაკებდა, გამოსაძიებელი აღარაფერი დარჩებოდა. ფაქტობრივად, სექტის მამებისთვის გასაგებ ენაზე დაიღრინა, კბენამდე ვერ მივიდა, ეტყობა, კბილებსაც უფრთხილდება და ერთხელ ბოძებულ სიცოცხლესაც, არ უნდა, კივას მიეწიოს...

საქვეყნოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე ხელისუფლება ითრევს ფეხს, თორემ აგერ, ნაცსექტამ, ლუსტრაციის კანონიც მიიღო სექტის შიგნით და თავის განაყართან კოჰაბიტაციაც შეწყვიტა!

ე.წ. დასავლეთის წამხედურობით ახლა მაინც მიიღეთ „ფარა“, თქვე კაი ხალხო!

ხომ ცხადი გახდა, რაშია საქმე! იმ დროს, როდესაც ევროკომისია „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონის დაინიცირებას აანონსებს, ეს უბედურ დღეზე დაშლილებში გადაბარგებულები თუ მოქმედი სექტანტები, ვერ ხედავენ საქართველოსთვის მსგავს სტრუქტურებთან თანამშრომლობის ვერც აუცილებლობას და ვერც მიზანშეწონილობას. სექტანტებს საქმე აქვთ, უშნოდ გაწყობილი შაპიტოსავით სექტა თავზე ემხობათ, საკუთარი ხელით დანასაც ხომ არ გამოისვამენ ყანყრატოში, რა დროს 9 და 69 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან თანამშრომლობაა! ხელისუფლებასთან კი არა, ევროკავშირთან აღარ უნდათ არაფერი საერთო — რა ჯანდაბად უნდათ ასეთი გარუსულებული ევროპა-აშშმა ფარა შუწყვიტოთ და ისიც მყისიერად მიეწევა...

ჩიტთამპყრობელისთვის ჩიტს ამბავი მიუტანია, „ნაცსექტას“ საარჩევნოდ ობამას საარჩევნო კამპანიის მრჩეველი ჩამოჰყავსო და წუხს, ცუდი ფეხი აქვს, 2012 წელსაც მან დაგეგმა „ნაცსექტის“ კამპანია „მეტი სარგებე-

7 გვ. →

# რატომ მოიშორა უკრაინამ მიშა ომის წინ



*გვესაუბრება მოძრაობა „ხალხის ძალის" წევრი თამარ ჩიბურდანიძე*

**- რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, მიიღებს თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს საქართველო. როგორია გარანტიები, თუ გავითვალისწინებთ, რომ უნგრეთისგან ნაკლები მხარდაჭერა შეიძლება გვქონდეს, რასაც ოპოზიცია ასევე სპეკულაციისთვის იყენებს?!**

- ევროკომისიის რეკომენდაცია იყო გადამწყვეტი. გვაქვს პოზიტიური მოლოდინები. რაც შეეხება უნგრეთს, უნგრეთიც მხარს უჭერს საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების საკითხს, ოღონდ, მათ სხვა თემაზე ჰქონდათ საუბარი. ჩვენ სტატუსს გვაძლევენ გარკვეული დათქმების შემდეგ, ხოლო უკრაინას და მოლდოვას წინსწრებით მისცეს სტატუსი. ასე რომ, ეს სამი ქვეყანა ერთ პაკეტში ვართ - უნდა გადაწყდეს, ჩვენ მოგვცემენ თუ არა და მათ შეუნარჩუნდებათ თუ არა სტატუსი. ეს პაკეტი იყო ცალკე. ახლა კი ევროკავშირის რამდენიმე სახელმწიფომ დაამატა მეორე პაკეტი, რომლის მიხედვითაც უკრაინამ უკვე უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან გაწევრიანებასთან დაკავშირებით. არ ვიცი, ვისი იდეა იყო, მაგრამ გადაწყვიტეს, ორი პაკეტი გაეერთიანებინათ. ანუ, ფაქტობრივად, უკრაინას სურდა, დაეწყო გაწევრიანებაზე ღიად საუბარი, რაც უნდა ყოფილიყო შემდგომი ნაბიჯი. სწორედ ამას ეწინააღმდეგება უნგრეთი, მისი პრეტენზიაა, რომ უკრაინისთვის ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყება ჯერ ადრეა. ამ შემთხვევაში უკრაინას უნდა მიეცეს კიდევ 50 მილიარდი ევრო დახმარების სახით ევროკავშირისგან, რაც ძალიან დიდი თანხაა. შეძლებს თუ არა უნგრეთი თავისი პოზიციის გატანას, ვერ გეტყვით, თუმცა იმედი გვაქვს, რომ საქართველოს თემას ეს არ შეეხება და არ შეგვიშლის ხელს სტატუსის მიღებაში.

**- სააკაშვილი აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის, ხალხი, რომელმაც 2021 წელს მისი საქართველოში დაბრუნება დაგეგმა, რუსეთის მიერ ჩანერგილი აგენტები იყვნენ...**

- რუსეთის ჩანერგილი აგენტი თვითონ არის, უფრო კი ორმაგი აგენტია მიხეილ სააკაშვილი. მოტყუებით და ძალით რომ არის ჩამოყვანილი საქართველოში, ამაზე არავინ დავობს. ფაქტობრივად, გამჟღავნებულია, ვისი „პროექტი" იყო ის და ვინ ჩამოიყვანა საქართველოში... ამერიკული კომპანიიდან არის შემოპარული და რა მიზნით შემოიყვანეს, რა იყო დაგეგმილი, კი ვნახეთ. ბუნებრივია, ნანობს, რომ დაბრუნდა, ნატრობს, რომ საქართველოდან როგორღაც გავიდეს და აქეთ აღარასდროს მოიხედავს. რა პატრიოტიზმზეა ლაპარაკი! მაქვს უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილს არ სურდა საქართველოში დაბრუნება, უსაბუთებდა თავის „უფროსებს", რომ მისი ჩამოსვლით აქ არაფერი შეიცვლებოდა და არწმუნებდა, რომ მათ არ იცოდნენ ქართველი ხალხის განწყობა; რომ „ქართულ ოცნებას" ჯერ კიდევ ჰყავდა მყარი ამომრჩეველი. ეს იყო სააკაშვილის პოზიცია და ის უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი „პატრონები".

თუმცა, უკრაინის ომი რომ დიდი ხნის წინათ იყო ჩაფიქრებული, უკვე ყველასათვის ნათელია. ზელენსკი წლების წინ დაგეგმილი „პროექტი" იყო, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც მრავალსერიიანი ფილმი გადაიღეს მისი მონაწილეობით და გმირად აქციეს. შემდეგ მას მონაწილეობა მიაღებინეს არჩევნებში და ქვეყნის პრეზიდენტადაც გაიყვანეს, მესამე ეტაპი კი იყო ომი. ღიად ისაუბრა უკვე არისტოვიჩმა და სხვებიც ამღერდნენ სხვადასხვა ხმაში, რომ რუსეთ-უკრაინის ომი სულაც არ ყოფილა უკრაინის გადაწყვეტილება. დასავლეთსა და ბორის ჯონსონს ჩაუშლიათ რუსეთთან მოლაპარაკებები და სწორედ მათი „რჩევებით" და ძალდატანებით შესულა უკრაინა რუსეთთან კონფლიქტში, რითაც, ფაქტობრივად, რუსეთი აიძულეს, რომ ომი დაეწყო.

თუკი ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო უკრაინაში, მაშინ სააკაშვილი არ იქნებოდა მისაღები პერსონა მათთვის, მისი ადგილი იქ აღარ იქნებოდა და ის უნდა განერიდებინათ ქვეყნიდან. მაგრამ საინტერესოა, რატომ გამოიყვანეს სააკაშვილი უკრაინიდან? ერთი ვიცით, ჩვენთან შემოიყვანეს იმის გამო, რომ ქვეყანა აერიათ, მაგრამ მხოლოდ ეს იყო მიზეზი? მხოლოდ იმის გამო ჩამოიყვანეს, რომ საქართველში რევოლუცია მოეწყოთ და ხელისუფლება შეეცვალათ? ვინმე ფიქრობდა, რომ მიშას თუ დაინახავდნენ ქვეყანაში, საქართველო ფეხზე დადგებოდა? - არ ვიცი, ვინ ატყუებდა ასე მწარედ ამ ხალხს! ან, იქნებ, მხოლოდ ეს არ ყოფილა მიზეზი და მათ არ სჭირდებოდათ სააკაშვილი უკრაინაში ამ ომის პერიოდში? რატომ გამოიყვანეს სააკაშვილი უკრაინიდან ამ უმნიშვნელოვანესი პროცესების წინ, როდესაც დაგეგმილი იყო რუსეთ-უკრაინის ომი და რატომ ჩამოაშორეს ის სიტუაციას? რა საფრთხეს შეიცავდა სააკაშვილის იქ ყოფნა ამ ხნის განმავლობაში? რაში შეუშლიდა სააკაშვილი ხელს უკრაინას? არის თუ არა ის ნამდვილად რუსეთის აგენტი? ითამაშებდა თუ არა ორმაგი სტანდარტებით? რატომ არ ენდობოდნენ სააკაშვილს? - ეს დღეს ეს კითხვებია მთავარი. თუკი მიშა მართლაც რაღაც პოლიტიკურ ამინდს ქმნის უკრაინაში, მაშინ პირიქით, ის ქვეყანაში უნდა დაეტოვებინათ.

ერთ-ერთი, ვინც მის სანაცვლოდ უკრაინაში დადიოდა, ვინც დაბრუნებაში დაარწმუნა და დაეხმარა, ნიკა მელია იყო. მე არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი ერთმანეთში, მაგრამ იმ პერიოდში მელია იყო პარტიის თავმჯდომარე და, ალბათ, ბევრი ურთიერთბრალდება და ბევრი აღიარება იქნება მათ შორის სხვადასხვა ფაქტორის გამო. ვნახოთ, კიდევ რა ბრალდებებს წაუყენებენ ერთმანეთს! სააკაშვილი აშანტაჟებს ამ განცხადებებით თავის „პატრონებს", რომ თუკი არ უშველიან, ყველაფერს იტყვის! აშანტაჟებს მათ პირველივე დღიდან და სიმართლე გითხრათ, სწორადაც იქცევა, რადგან ვინც აიღო პასუხისმგებლობა მიშას საქართველოში შემოყვანაზე, დიახაც, უნდა მოსთხოვოს მას პასუხი!

**- ნიკა მელიამ ახალი, დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბება დააანონსა, შესაძლოა, გვარამიაც „დამოუკიდებელ" პოლიტიკოსად მოგვევლინოს...**

- ბუნებრივია, მელია წაართმევს ხმებს „ნაცმოძრაობას" და ასევე წაართმევს ოპოზიციურ პარტიებს




ხმებს ნიკა გვარამიაც, თუ პარტიას შექმნის. ყველა ოპოზიციური პარტია: ნაცმოძრაობა, ლელო, გახარია, მელია, გვარამია, ნათელაშვილი თუ სხვა, თუკი ვინმე არსებობს ამ სპექტრში, ყველა მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა ერთ სეგმენტზე მუშაობს. ყველა, ვინც ამ პარტიებშია გადანაწილებული, 2012 წელს „ნაცმოძრაობის" ამომრჩეველი იყო. „ნაცმოძრაობას" წაართვეს მათ ხმები და ახლაც მათგან ნაწილდება ეს ხმები. ასე აგროვებს მთლიანი ოპოზიცია ხმათა რაოდენობის 20-25 პროცენტს. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, „ნაცმოძრაობის" ყოფილი წევრები ლელოში იქნებიან, გახარიასთან, გვარამიასთან თუ მელიასთან... შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, მაგრამ ეს ის პროცენტია, ვისთვისაც გამარჯვება შეუძლებელია. ერთიანმა ოპოზიციამ ვერ შეძლო გამარჯვება და დაქსაქსული და ეკლექტური პარტიები როგორ შეძლებენ, რომელთაც სულ სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგია და უდიდესი ამბიციები აქვთ? ყველას პირველკაცობა უნდა.

**- „ევროპის მოედანზე" ევროკავშირის გიგანტური დროშა გაშალეს. მსჯელობას სალომე ზურაბიშვილიც შეუერთდა...**

- მათ იციან, რომ 15 დეკემბერს სტატუსის მონიჭებას ხელს ვეღარაფერი შეუშლის და დასწრებაზე არიან, როგორმე აღნიშნონ ეს ფაქტი. სინამდვილეში, 9 დეკემბრის აქცია ხელისუფლებასთან პაექრობა იყო, სტატუსის თემაში რომ მთლად ხელმოცარულები არ დარჩენილიყვნენ. არადა, ისინი უკვე ხელმოცარულები არიან ქართველ ხალხთან.

სხვისი ბრძოლით მოპოვებულ შედეგზე ხელს ითბობენ ის ადამიანები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ომს ნატრობდნენ ქვეყანაში და რომლებიც მსოფლიოს ამცნობდნენ, რომ საქართველო არ იყო ევროპული ოჯახის ღირსი.

თქვენს ლიდერებს რომ თავისი გაეტანათ და სტატუსი დაებლოკათ, ევროკავშირის დროშას ვეღარ ააფრიალებდით. რაც შეეხება იმას, რომ ევროპაში ჯერ კიდეც არ არის გადაწყვეტილება მიღებული და თქვენი დროშის ფრიალი რაიმეს გადაწყვეტს, სულ მცირე, პოლიტიკას ამოფარებული სიცრუეა. იქ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და საქართველოს მომავალიც ჭკვიანი ხალხის დამსახურებით არის განსაზღვრული.

**- ახლახან პოს-ტვ-მ შეკრიბა და გამოაქვეყნა გიორგი გახარიას მიერ გამოთქმული შეფასებები „ქართული ოცნებისა" და ბიძინა ივანიშვილის შესახებ. მაინც, რა შანსები აქვა გახარიას და „ლელოს" მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში?**

- გახარიამ ძლიერი პოლიტიკოსის იმიჯი შეიქმნა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ჰყავდა ძალიან ძლიერი გუნდი „ქართული ოცნების" ხელისუფლების სახით. გუნდის გარეშე ლიდერი რომ ვერაფერს აკეთებს, ეს აქსიომაა. ამის გარდა, გახარია იყო ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: ის იყო ბიზნესომბუდსმენი, ფინანსთა მინისტრი, შს მინისტრი და ბოლოს პრემიერ-მინისტრი. დღეს რომ გვიცხადებს, 25 კაცია ქვეყანაში, ვინც ხალხის ფულს ინაწილებსო, მისი მინისტრობის თუ ომბუდსმენობის პერიოდში არ იყვნენ ეს ადამიანები საქართველოში და ახლა გახდნენ ხალხის ფულის მიმთვისებლები? სანამ თბილ სავარძელში იჯდა, ხმას არ იღებდა, რადგან ასე აწყობდა! გიორგი გახარია ლიდერად აქცია მისმა ძლიერმა გუნდმა. როდესაც მან თანამდებობა დატოვა და თავდაპირველი ეიფორია დაცხრა, გახარია „ქართული ოცნების" წევრებსაც კი ბიძინა ივანიშვილის „პროექტი" ეგონათ. სწორედ ამ მოარულმა ჭორებმა შეკრიბა ადამიანები მის გვერდით და აალებინა არჩევნებში ის ხმები, რაც აიღო... ეს იყო მთლიანად „ოცნების" ამომრჩევლის ხმები. შემდეგ კი, როცა მან საკრებულოებში დაიწყო კოალიცია „ნაცმოძრაობასთან", ამომრჩეველი მიხვდა, რომ შეცდა. აქედან გამომდინარე, გახარიას, როგორც ცალკე აღებულ პოლიტიკურ სუბიექტს, ბარიერის გადალახვის არანაირი შანსი არა აქვს. ის არის ხელმოცარული პოლიტიკოსი და მას პარტია აღარ ექნება ამ არჩევნების შემდეგ. რაც შეეხება „ლელოს", ის თავიდან ბოლომდე არის „ნაცმოძრაობის" და „რესპუბლიკელების" ერთობა. **„ლელო" არის ნარჩენებისგან „შეკერილი" პარტია** და როგორ ფიქრობთ, საქართველოში გამარჯვებას ნარჩენებისგან შექმნილი პარტიით შეძლებს? „ლელოს" მაშინაც კი არ ექნება შანსი, თუ სამი-ოთხი სუბიექტი გაერთიანდება, რადგან ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ლიდერობას არც ერთი დათმობს.

პარლამენტში უმრავლესობით შევა, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება"; შევა, აგრეთვე, „ხალხის ძალა", რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა" 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავს; მელიაც, ალბათ, გადალახავს, რადაგან ის ნახევარ „ნაცმოძრაობას" წამოიყვანს... მაგრამ თუკი ამ ხალხმა მანამდე სრულიად ჩაიქნია ხელი მათზე და ნარჩენების პარტიებში წავიდნენ, ლელო იქნება ეს თუ გახარიას პარტია, მაშინ მათ დაემატებათ ხმები. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენ ხმას აიღებს სათითაოდ. გამორიცხულია, მათ შეძლონ რეალური წარმონადგენლობის შეყვანა პარლამენტში ისეთი რაოდენობით, რომ ხელი შეუშალონ სახელისუფლებო გუნდს, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებაში. აუცილებლად მოვა დღევანდელი ხელისუფლება საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში. ის 47 პროცენტიც, ვინც დღეს ამბობს, რომ ჯერ კიდევ არა აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას, სახელისუფლებო გუნდს დაუჭერს მხარს და ამით ყველა იმ სიკეთეს დააფასებს, რაც „ქართულმა ოცნებამ" წლების განმავლობაში ქვეყნისთვის გააკეთა.

**ნონა ქარქაშაძე**

# ეს ქალი საქართველოს სირცხვილი და თავისმოჭრაა

ამასწინათ ერთმა თქვა: ძალიან გახარებული ვარ, „ნაცი“ და „ქოცი“ ერთად მესტუმრნენო. ვიღაც გაეპასუხა: რა გიხარია, სიკვდილი და სიღარიბე ერთად მოგდგომიანო.

მხოლოდ სიკვდილი და სიღარიბე კი არა, სირცხვილი და თავის მოჭრაც მათთან ერთად მოგვადგა!

სირცხვილი და თავის მოჭრაა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტად ასეთი ქალი გვყავს!

რატომ უნდა ჰყავდეს საქართველოს (ნებისმიერ ქვეყანას) გაურკვეველი წარმოშობის პრეზიდენტი, რომელიც, ამავდროულად, გამართულად ვერ მეტყველებს ამ ქვეყნის ენაზე და სულაც, ქვეყანა, რომლის პრეზიდენტიც არის, პირველად, ოცი წლის წინათ ნახა. ამ ქვეყნის მენტალიტეტი რომ მისთვის აბსოლუტურად უცხოა, ეს ცალკე საკითხია.

რაგინდ სალახანა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, იმდენი მაინც უნდა ესმოდეს, რომ ქვეყნის ხერხემალი ის სახელმწიფო სამსახურების ერთობაა, რომელსაც ძალოვანი სტრუქტურები ჰქვია.

ესმის, არავის ეგონოს, რომ არ ესმის, მაგრამ გააჩნია, რა შემთხვევაში! სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ არის სალახანაც და ყველაფერი უგვანობაც!

„პოლიციელის მოვალეობა და ვალდებულება არის ქვაკუთხედი, რომ ქვეყანაში შენარჩუნდეს უსაფრთხოება, სტაბილურობა, მშვიდობა! მადლობა, რომ ამ პროფესიას ყველაფერი შესწირეთ და სწირავთ — ეს არის ქვეყნისთვის უდიდესი სამსახური.

თქვენზე დგას მოქალაქეების უფლებების დაცვა და ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე არ არსებობს თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო. თქვენზე დგას ასევე ყველა იმ უსაფრთხოების გაძლიერება, კიბერუსაფრთხოება, ორგანიზებული დანაშაული თუ სხვა გამოწვევები, რომლებიც დღეს მსოფლიოში ესოდენ ძლიერად არის გავრცელებული“... — სალომე ზურაბიშვილმა კიდევ უფრო ვრცლად და კიდევ მეტი მადლობებით მიულოცა გასულ წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა რგოლს 31 მაისი, პროფესიული დღე, რომელიც შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები. ასევე, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები — მაშასადამე, ლამის მთელი მსოფლიო მყავს მოწმედ, რომ ამ სალახანა ქალმა ასეთი თბილი სიტყვები აფრქვია საქართველოს პოლიციის მისამართით.

წელს, საქართველოს ე.წ. პრეზიდენტმა, სხვა გზა არ ჰქონდა, კვლავ მიულოცა პოლიციელებს პროფესიული დღე: „უმნიშვნელოვანესია პოლიციის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის როლი ევროპულ ქვეყანაში... მადლობას ვუცხადებ ჩვენს პოლიციელებს ქვეყნის სამსახურისა და თავდადებისთვის“, — დაწერა საქართველოს ე. წ. პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში და დასძინა, რომ შსს-ს თანამშრომლებს პროფესიულ დღეს ბრიუსელიდან ულოცავდა. ამ დროს, თბილისში, საზეიმო ღონისძიებაზე ქვეყნის უმაღლეს პირთა და „დაუძინებელი მეგობრების კორპუსი“ იმავე განაწესით იყო წარმოდგენილი. რა „გადაუდებელი“ და სავალდებულო შეხვედრები ჰქონდა კონკრეტულად ამ დღეს ამ ძაღლთაპირს, იცის ვინმემ? — უბრალოდ, სამომავლოდ დალაგებულ გეგმას არ მოუხდებოდა პოლიციის მიმართ პროტოკოლით გათვალისწინებული მისი სიტყვები და არ სურდა, კიდევ უფრო მოეჯაყებინა თავი, ამიტომ ბრიუსელში გაიძურწა...

მაინტერესებს: კონკრეტულად იმ დღისთვის უკვე დაკავებული იყო თუ არა ის აგრესიული ყმაწვილი, რომელიც ე. წ. მოლოტოვის კოქტეილებს ესროდა პოლიციელებს და, შესაბამისად, უკვე ცნობილი იყო



თუ არა მათი ვინაობა? და თუ იყვნენ, რა პოზიცია ეკავა ამასთან დაკავშირებით ე. წ. პრეზიდენტს? — რამდენადაც მახსოვს, იგი ვაშინგტონიდან აქეზებდა მარტის ე.წ. აქციების (სახელმწიფო გადატრიალების აგორების მცდელობა) მონაწილეებს, მარტის შემდეგ კი, როგორც დადასტურებულად დადგენილია, აპრილი დგება, შემდეგ კი მაისი მოდის, თვის ბოლო დღე 31 მაისიანად...

ასეთი რამ ხომ მხოლოდ საქართველოში ხდება — მოქმედი პრეზიდენტი (თან ქალი!) მოუწოდებდეს მოტყუებულსა და გზააბნეულ ახალგაზრდებს, რომ ხელისუფლება დაამხონ...

მაინტერესებს, საქართველოს გარდა, კიდევ სადმე თუ ხდება ის, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ამართლებდეს სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავდასხმას და კონკრეტულად, სამართლდამცავების ცოცხლად დაწვას?

თათარ-მონღოლთა სისხლი აქვს ამ მადამს და ძალიანაც არ მიკვირს, რომ არაჩვეულებრივი სალახანა დიპლომატად ვერ შედგა... მონღოლები საქართველოში პირველად მე-13 საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდნენ და ეს ქალი მთლად „საიუბილეოდ“ არ დაგვეცა ჭირად 10 საუკუნის შემდეგ? ცეცხლით, ცხედრებითა და გამორჩენით გააკვირვებ მის უთავმოყვარეო გენეტიკაში ჩაბუდებულ დნმ-ს?

„მას, ვინც საკუთარი ნებით იქცა მხოხავ ჭიაყელად, განა აქვს უფლება, რომ დაიჩივლოს, როცა გაჭყლეტენ?“ — იკითხა იმანუილ კანტმა და კითხვაშივე ჩანდა კატეგორიული პასუხი, მაგრამ ჩვენ ისეთი ჭიაყელა გვყავს, მარტო დაჩივლების უფლება კი არა, კატეგორიული მოთხოვნები აქვს...

არანაირი სურვილი არ მაქვს, აუგად მოვიხსენიო ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, მით უმეტეს — ქალი, მეც ქალი ვარ, მაგრამ აუგად მოხსენიების მოთხოვნილება თავად აქვს, არ ასვენებს გამჩენი!

ნუთუ აბსოლუტურად არაფერი უტოკავს შუბლსმიღმა?

მე და არა მხოლოდ მე, არაერთ რიგით მოქალაქეს შეგვრცხვა მის ნაცვლად, როდესაც საჯარო ინფორმაცია გავრცელდა, 7-8 მარტის აქციებზე დაზარალებულებმა, შს სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მხარდაჭერით, საქართველოს პრეზიდენტს ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებისგან თავის შეკავების თაობაზე განცხადებით მიმართეს. ინფორმაცია შს სამინისტრომ გაავრცელა, თორემ სხვაგვარად გამიჭირდებოდა დაჯერება.

უწყების ინფორმაციით, მიმართვის ავტორები ის პოლიციელები არიან, რომლებმაც 7-8 მარტის აქციების მიმდინარეობისას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სხეულის სხვადასხვა მძიმე დაზიანებები მიიღეს, მათ შორის ცეცხლის წაკიდების გამო.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სამართალდამცველებმა პრეზიდენტისათვის მიმართვის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაზარე გრიგორიადისის ოჯახის წევრებმა და უფლებადამცველებმა პრეზიდენტს მისი შეწყალების თხოვნით მიმართეს.

დაზარალებული პოლიციელები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტის მიერ მათზე თავდამსხმელი პირის შეწყალება საზოგადოებაში გააჩენს განცდას, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებზე თავდასხმა დაუსჯელი დარჩება.

სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა, შეწყალება ეხებოდეს ლაზარე გრიგორიადისის მიერ ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტს, თუმცა, მათ მიაჩნიათ, რომ ეს არ იქნება რიგითი შეწყალება მსგავსი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, არამედ, ეს იქნება გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა პოლიციელზე თავდასხმის, ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების მიმართ ლოალურად არის განწყობილი;

რომ პრეზიდენტის მხრიდან აღნიშნული ქმედების შემთხვევაში, ეჭქვეშ დადგება ასეთი კატეგორიის დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული ძალისხმევა.

საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლები მიმართვის ერთ-ერთ საფუძვლად ასახელებენ იმ გარემოებასაც, რომ 2019 წელს საქართველოს პრეზიდენტმა 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში მსჯავრდებული პირი შეიწყალა, რომელსაც სასამართლოს მიერ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და საპატიმრო ხუთ წელიწადში დატოვა.

დაზარალებული პოლიციელები მართებულად მიიჩნევენ, რომ ეს შეწყალება პოლიციელებზე თავდასხმას ე. წ. მწვანე შუქს აუნთებს, თუმცა, პოლიციელებს აქამდე უნდა გამოეთქვათ ხმამაღალი პროტესტი მაშინ, როდესაც პირველად მიაყენეს ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს შეურაცხყოფა.

პოლიცია, როგორც სტრუქტურა არავის უყვარს!

მხოლოდ ერთხელ და გარკვეული დროით შეუყვარდა ხალხს პოლიცია (მილიცია), როდესაც ის ფარად დაუდგა საკუთარ ხალხს 9 აპრილს და სიმპათია გაუჩნდა წელს, როდესაც ადეკვატურად იქცეოდა, არ დააპირისპირა ე. წ. სოდომისტები და ხალხი.

ბუნებრივია, კანონის დამრღვევს ვერაფრით ეყვარება კანონის დამცველი; პოტენციურ დამნაშავეს ვერ ეყვარება მისი გამანეიტრალებელი, მაგრამ ეს საზოგადოების დამცველი სტრუქტურაა და ამიტომ პირადად ჩემი განწყობა ასეთია — მე მიცავს ჩემი პოლიცია და მე მიყვარს ჩემი დამცველი პოლიცია! — სხვაგვარი პოლიცია და პოლიციელის მძაგს!

თვით ე. წ. პრეზიდენტი, რომელიც აბსოლუტურად ამოვარდნილია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და მუყაოს ყუათიღა ჰკიდია ქვეყანა საქართველოს კედელზე, ვინ და რამ დააარხეინა პოლიციასთან მიმართებაში, კრიჭაში რატომ უდგას? ვინმემ მაინც ჩასჩურჩულოს ყურში, პოლიციელების მიერ რომ არ ყოფილიყავი დაცული, ორბელიანების სასახლიდან აქამდე ფეხით ეყოლებოდი გამოთრეული იმ ხალხის მასას, „აქ რას მომივარდითო“ რომ დააყვირეო...

პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელის შეწყალება თუ შერჩა ხახვივით, მისთვის რა პრობლემაა ცოცხალ პოლიციელებზე თავდამსხმელის შეწყალება?

მე, ერთ რიგით მოქალაქეს, მაია ჭელიძეს, დღემდე არ ამომდის მხედველობითი მეხსიერებიდან, პარლამენტის შენობასთან რკალად შემოვლებულ სამართალდამცველთა რიგებში მყოფ ერთ-ერთ სპეცნაზელს როგორი შეურაცხყოფა მიაყენა ვიგინდარა გრიგოლ ვაშაძემ და შეურაცხყოფილ ვაჟკაცზე იძულებით თავსმოხვეული თმენის ვალდებულება. ამ ყმაწვილის თვალები არ დამინახავს და მისი გულის ძგერა არ გამიგია, მაგრამ მისი იმწამიერი განცდები ისე გადმოვიდა ჩემზე, დღემდე პირჯვარს უნდა იწერდეს ორსახოვანი გრიგოლი, რომ იმ ვაჟკაცის ადგილზე მე არ ვიდექი — ველარ აკრეფდნენ...

ვინ დაამკვიდრა, რომ პოლიციელზე თავდასხმა ჩვეულებრივი ამბავია? ვინ დაამკვიდრა და იმ გახარია-თვალთხარიამ, რომელსაც ეს თიკუნი იმავე გაერთიანებამ მიაკრა, რომელთანაც დღეს ჩაფსკვნილ-ჩამარყუჟებულია. საქართველოს შს სამინისტროში ვირთხად შეპარულმა ბოდიშ-ბოდიშით მოსიარულე გახარიამ შეულახა მუნდირი ყველა პოლიციელს, რადგან ერთმანეთში აღრია თმენის ვალდებულება და მუნდირის დაცვა და შეძლებისდაგვარად, ფეხქვეშ გათელა კანონი პოლიციის შესახებ!

რაგინდ უარყოფით კონტექსტში გავიხსენოთ ივანე მერაბიშვილი, იმას ვერ დავუკარგავთ, რომ საკუთარ ხელქვეითებს, კანონიერად თუ უკანონოდ, კბილებით იცავდა. ხომ წარმოგიდგენიათ, მისი სპეცნაზელისთვის ვინმეს ვაგლახად ხელი რომ შეეხო, სად აღმოჩნდებოდა მისი საგვარეულოს ხელები, ხოლო პოლიციელებისთვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი მხოლოდ თვალხატულა ლაზარესი კი არა, მისი წინაპრების ძვლებიც იფრიალებდა სხვა გალაქტიკაში. შეწყალებაო? ამ სიტყვის დამსველებელი კი არა, გამფიქრებელიც თან მიჰყვებოდა გრიგორიადისების წინაპრების ძვლებს...

ყველანაირი ნორმიდან ამომხტარი ეს ქალი, სახელად სალომე, სტატუსით საქართველოს პრეზიდენტი რა გადაწყვეტილებას მიიღებს ლაზარე გრიგორიადისის საქმეზე, ეშმაკზე ეშმაკიც ვერ განჭვრეტს, მაგრამ სერიოზულად მაინტერესებს, ვინ ურჩევს შესაწყალებელთა კანდიდატურებს და რა ნიშნით — ამაშიც ჩვენი დაუძინებელი მეგობრები ფუთფუთებენ თუ მხოლოდ ადგილობრივი ძლვენიჭამმია ფუნაგორიები?

ყველა შემთხვევაში, ამ ეტაპზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და სასამართლოს ყველამ უნდა მივცეთ შესაძლებლობა, დაადგინოს ან არ დაადგინოს პირის ბრალეულობა.

საქართველოს მოქალაქეები ვიმსახურებთ იმის გაგებას, ვინ იყო ის ადამიანი, ვინც გაბედა და სისრულეში მოიყვანა განზრახვა, ცოცხლად დაეწვა ადამიანი-პოლიციელები.

ცხადია, ეს სამართლებრივი რეაგირებაა და ხალხისთვის დიდად არ აქვს მნიშვნელობა, რომელი უწყება და რომელი ტიკინა ქალი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ხალხზე უკეთ არავინ იცის, რაში ვინ არის დამნაშავე და ვინ ვის რა ესროლა,

უბრალოდ, გრიგორიადისის საქმესთან დაკავშირებით უკმაყოფილების გრძნობაა დარჩენილი: მხოლოდ ერთმა პირმა, აჟიტირებულმა გრიგორიადისმა ესროლა „მოლოტოვის კოქტეილი“ პოლიციელებს?!

კი, გრიგორიადისიც ცოცხალად დაწვავდა პოლიციელებს და პაპანდოპულოს ქალიშვილიც იგივეს გაიმეორებს, რადგან პოლიციელის მუნდირი იმ დაბალ ღობედ აქციეს, რომელსაც, როცა გინდა ფქვილს შეაყრი; როცა მოგინდება დამცავ ფარს გამოსტაცებ, ხელკეტს ან ორივეს ერთად და მასვე გადაარტყამ ბეჭებზე; მოესურვება რომელიმე აცეტებულ გოგონას და დემონსტრატიულად უჩვენებს შუა თითს, თან ენასაც გამოუყოფს...

აღუდგინეთ ღირსება ქართველ პოლიციელებს! მე ღირსეული პოლიციელი მიყვარს!.. დავწერე, კი, მაგრამ ვის მივმართო, ადრესატი არ ვიცი...

საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მე, საქართველოს რიგითი მოქალაქე მაია ჭელიძე დავუდგე ადვოკატად საქართველოს პოლიციას?

მთლად შსს-ის ეზოში თუ არა, ყველა პოლიციის განყოფილების წინ ჩემი პატარა სტატუეტი მაინც უნდა იდგეს, რაც მე ამ უწყებას ვიცავდი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული დღემდე! სრულებით არ ვარ ხუმრობის ხასიათზე, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ვახდენ.

დიახ, როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს, ღირსეული პოლიცია მიყვარს (მაგალითად, ჩემი უბნის) და არა როგორებიც არცთუ იშვიათად, მაგრამ მაინც მხვდებიან ხოლმე (პოლიციაში ჩაბუდებულ პოლიციის სახელის შემლახველ პოლიციელებს ცალკე მივუძღვნი წერილს...)...

შევარდნაძისა და ახლანდელი დრო, გგონიათ, შემთხვევით გადაება ერთმანეთს? აკი ვთქვი, არ ვარ ხუმრობის ხასიათზე-მეთქი!

შევარდნაძის დროს შს მინისტრი კახა თარგამაძე იყო. „რკინის კაცი ჯართში ჩავაბარეთო“, რომელი დაჯგუფება ქირქილებდა?

პასუხი: ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, რომლებიც მაშინ ახლადშეღერებული გოგო-ბიჭები იყვნენ.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ვინ არიან ისინი, ვინც გრიგორიადისები შვეს და პოლიციაზე ცეცხლს აკიდებინებენ?

პასუხი: ის „ახალგაზრდა რეფორმატორები“, რომლებიც ახლა გაიზარდნენ და ე. წ. რადიკალური ოპოზიცია დაირქვეს.

კანონმა და კანონიერებამ თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცის, მაგრამ იმ გრიგორიადისებს ზურგსუკან ვინც უდგას, ის რომ უნდა იჯდეს გრიგორიადისის გვერდზე და ლაზარეზე მეტად უნდა აგოს პასუხი, — ასე სჭრის ჩემი სამართალი. ვიღაც ლაზარე შემსრულებელია, მე დამკვეთს უფრო მკაცრად დავსჯიდი...

ამ ქალთან მორალსა და ეთიკაზე ლაპარაკი იგივეა, რაც მგლის თავზე სახარების კითხვა!

რამდენიმე დღის წინათ, სასამართლო პროცესზე დისტანციურად ჩართვისას, პატიმრობაში მყოფმა ექს-პრეზიდენტმა „7 ნოემბრის საქმეზე“ განაცხადა, რომ 2007 წლის ნოემბრის აქციები რუსეთის მიერ მართული პროცესები და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო.

აღნიშნული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი იმჟამად ოპოზიციაში მყოფი ამჟამინდელი პრეზიდენტიც გახლდათ. ბუნებრივია, ჟურნალისტმა ჰკითხა აზრი ამ განცხადების შესახებ მოქმედ პრეზიდენტს. გაწიწმატდა სალომე: „შეიძლება, რომ ამდენი წლის მერე, 2012 წლის მერე, დაივიწყოთ თქვენ სააკაშვილი?“

ის, რომ სააკაშვილი არ აღიარებს დანაშაულს და არ ნანობს ჩადენილს, სხვა საკითხია, მაგრამ ზურაბიშვილის რეაქცია? ფაქტობრივად, მას ხელს ადებს წინამორბედი პრეზიდენტი, რომ რუსეთისგან მართული იყო, სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა (სხვებთან ერთად) და რატომ სურს ამის დავიწყება, რას ნიშნავს ამგვარი დამოკიდებულება ბრალდებაზე პასუხის სანაცვლოდ? თუმცა, ეს ხომ ის ქალია, რომელიც, თუ მოესურვა, საქართველოს ჯიბრით ასევე უტიფრად გადააბიჯებს საკუთარ ნათქვამ სიტყვებსაც: „არა და არასდროს!“

სალომე რის დავიწყებას გვირჩევს მედიას, სრულებით არ გვაინტერესებს, რადგან, **მედიის უმთავრესი ფუნქცია ის არის, რომ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. მედიას სრული უფლება აქვს და ვალდებულიც კი არის, არ დაივიწყოს და არც სხვას დაავიწყოს წარსული!**

არაადეკვატურია ეს ქალი!

გავუსწროთ უკრაინასა და მოლდოვას! — ფაქტობრივად ლოზუნგად გაგვიშალა საქართველოს. რაში უნდა გავუსწროთ ომში მყოფ, გადაბუგულ და უკიდეგანო კორუფციაში ბოლომდე ჩაფლულ უკრაინას? ან, ასევე კორუფციაში ჩაფლულ და გაპარტახებულ მოლდოვას რაში უნდა გავუსწროთ, დსთ-ში რევერანსებით შევიდეთ?

გავიგეთ, რომ ეს „კაშმარ-პრეზიდენტი“ საქართველოს ჯიბრით, ლამის ყოველდღიურად ახალ-ახალი სიგიჟეების რეკორდებს ხსნის, მაგრამ პრეზიდენტის სასახლეში „მონათა ბაზარი“ რომ გახსნა, ნამდვილად შეუდარებელი ამბავია — ხელზე მაამბორებელთა ცოცხალი რიგი დაიყენა.

მონა, იძულებიდან გამომდინარე, ვალდებულია, ეამბოროს მონათმფლობელს, მაგრამ **მედია რომ გქვია და ვიღაცას სხეულის ნებისმიერ ადგილზე ეამბორები, მედია აღარ ხარ, მონა ხარ!** თუმცა, ეს ე. წ. პრეზიდენტი და ეს ე. წ. მედია ხომ ერთნი არიან — „ეგრეთწოდებულები“. 2018 წლიდან რა არ აკადრეს ამ ქალბატონს დღეს მასთან მისულებმა და დღეს ეს ქალი მათ უღიმის, შევირგე დედის რძესავით თქვენი ნასროლი წუნწუხი და ჩონჩორიკიო.. ამ ქალბატონს ამასობაში სტოკჰოლმის სინდრომიც შეჰყრია...

ამ ყველაფრის ფონზე რაღა გასაკვირია, რომ გამოდის ეს პრეზიდენტისმაგვარი და ყურით მოთრეულ რაღაც პეტიციას ადგენს, უნდა, რამენაირად შეეკვეხოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსქვეშ.

მთელი წელი უკითხავად დაწანწალებდა ოლია მათხოვარივით „ევროპებში“ და ვის ეპუტუნებოდა დახურულ კარსმიღმა „ფუჩეჩი, ფუჩეჩიო“, არავინ იცის, ამის გამო შეხტა იმპიჩმენტის ნიჩაბზე და ახლა საკუთარი ვითომ წვლილის „გაიმასქნებაზე“ ჩალიჩობს, ევროპის ლიდერებს მიმართავს „დეკემბრის ისტორიულ გადაწყვეტილებამდე“ — ჩვენი ხმა ევროპასო.

ისაო, ევროპელო ლიდერებო, გეაჯებით, მოგვანიჭეთ, რა, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიო; ესო, ქართველი ხალხის გამოხატული ნებაა, რომელიც ვერ შეარყია ომმა და ოკუპაციამო; ჩვენო, წარსულით და საერთო ღირებულებით, დიდი ხანია, ერთნი ვართო; საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი პირობის თანახმად, ბლა, ბლა, ბლაო და ხელს ვაწერთ ამ პეტიციას და ვითხოვთ კანდიდატის სტატუსსო.

რაო? კონსტიტუციაო?

სალომე ზურაბიშვილმა, ეტყობა, მას შემდეგ გაიგო სიტყვა „კონსტიტუცია“ და მისი არსებობა, რაც საქართველოს კონსტიტუციამ ქვემოდან და მარჯვნივ შეაქანა, თორემ, მანამდე რომ სცოდნოდა, როგორ გეკადრებათ, მრავალგზის კი არ დაარღვევდა და ფეხზე კი არ ამოცვამდა ქალამნად...

ჯერ კიდევ საკითხავია, მოგვცემენ თუ არა კანდიდატის სტატუსს და რა პირობებით. შემდეგ, ევროპაში როგორ არის, ვითომ არ იცის, ამ ევროპელმა ქალბატონმა — გრიგორიადისებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, აღმსარებლობისა თუ ეთნიკური ჯგუფის კუთვნილებისა, როგორ ძუყნიან პოლიციელები „ევროპებში“, თვალი მაინც არ მოუკრავს?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ქართველი ვარ და არავითარი „მაშასადამე“!

მე ქართველი ვარ, კავკასიელი!

ეს ქალი კი არის „არავინ“, ერთი ჩვეულებრივი ქამელეონი, ქვეყნის სირცხვილი და თავისმოჭრა!

**P.S.** სირცხვილია, როდესაც პრეზიდენტი გქვია და მეტიჩრობით შეკერილი ევროკავშირის დროშის გამშლელების საკმარის ხალხს ძლივს გამოიყვან!



**მაია ჭელიძე**

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

4 გვ.

ლი ხალხს!“, მისი სლოგანიაო.

„ცუდი ფეხიო!“

ამ რია-რიაში სექტანტებიდან არავინ მიაქცია ყურადღება, რომ არჩევნების გარეშეც ვიღაც თარსავთ — თითქოს ერთ ხმაში მღერიან, მაგრამ მეორე ხმა ურევს. სანამ კუნაპეტ ღამეს თეფში არ დავატრიალე ანაფორიანი ნაც-პეტრეების ჩამოსხმული პიტალო სანთლების შუქზე, ვერც მე ვხვდებოდი, რომ „ჭიჭე“ ურევს — სადაც შეეყუდა ყველასგან მიტოვებული ლირივით, ყველგან თარსი ფეხი შეაბიჯა, ნაცმო-შიც კი. ამას ისიც ერთვის, რომ „ხაბესთან“ ვერ თანხმდება ნაცსექტის პროცენტებზე, ერთი, 16-ს მინუს 1 და კიდევ მინუს 2%-ს გაიძახის და მეორეს — 40% დაუჩემებია, ეტყობა, გონებრივი



აღმაშენებლური სტატეგია აქვს ასეთი პრინციპული.

აშშ-ში მყოფ „ხაბეს“ არჩევნებთან დაკავშირებით საუბრისას რომ უთხრეს, იქ პარტია გეფშვნება, იქ უნდა მოგცენ ხმები, აქ რას დაბორიალობ, შენ ჩემის „ქურქუმელ ვაითოო“, „კეზერას“ ნაბოძები ახალთახალი ქინდრები გადმოყარა. რა უნდა ეთქვა, ვიცი, მაგრამ ეგრეა საჭიროო?

კაცმა რომ ეჭვები და პოლიტფანდები გამორიცხოს, ხომ შეიძლება, რომ მართლაც დაჯირაზე რეცხენ სექტას, ნაღდები დარჩებათ ოქროდ, ქვიშას დროების წყალი წაიღებს...

შავი დღე, შავი პარასკევი და შავი დრო ერთდროულად დაუდგათ ნაცსექტანტებს. ისე ჩამოფასდნენ, „რუსული რეკომენდაციაას“ ყვირილის ნაცვლად, ლამის ტირილი დაიწყეს ევროკომისიის რეკომენდაციის გამო, რომ საკითხი — „იურიდიულ პირებს აღარ უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესაძლებლობა, დეოლიგარქიზაციის ფორმატში უნდა დარეგულირდეს.“

მოკვდა ხალხი ინტერესით — მთლად ჯდანი მანქანა რომ იყოს, დაშლილებში სიხარულით იბარებენ და ამ ნაცდაშლილებს სადღა იბარებენ სიხარულითო?

როგორც დატრიალებულმა თეფშმა მითხრა, „ხაბეს“ გამო აჯანყებულები პარტიულ მანდატებს არ ტოვებენ, დამოუკიდებელ დეპუტატებად რჩებიან; პარტიას კი არ ღალატობენ, უბრალოდ, კეზერაშვილ-მერაბიშვილის ფორმალური მმართველობის სტილი არ მოსწონთ; მათ, ვინც პარტიიდან წავიდნენ, რეალურად 9 თვის წინათ „დააზვიეს“ ეს, უბრალოდ, პერფორმანსია, თორემ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათო...

ვინ საით დააზვევს, რა მნიშვნელობა აქვს, თავისი ნაცსექტური მძიმე და სამარცხვინო წარსული ხომ ყველგან თან გაჰყვება დაღად...

ვინ სად მიდის, რას გაიგებ, ჩემო ოლღა, მაგრამ მელია თურმე წარსულს ტოვებს და წინ მიდის, მომავლისკენ — ქმნის პარტიას, რომელსაც ივანიშვილის დამარცხების ამბიცია ექნება. რანაირად ქმნის ახალ პარტიას, როდესაც იგივე სახეები და იგივე იდეოლოგია აქვს, სიახლე რაშია, კეზერაშვილს რომ პირდაპირ და ღიად აყრის ქოქოლას?

ყველა შემთხვევაში, მელიკო, მომავლის ავტობუსში წინ დაჯექი, პირველი ჩახვალ!

კრივის მსხლად დანიშნული „ქურქუმალ ვაითი“ რომ დააპანჩურებს დაშლილი პარტიიდან, მაგ ბეგრაუნდით, სირცხვილით, ნიკანორ მელია ზოოპარკის გაქუცულ მელიასთანაც კი ვერ უნდა ბლატაობდეს და რა ენას იქავებს, ნეტავ, რა რჯის, ვისი და რისი იმედი აქვს?

ესენი, ყველანი, კოვიდზე კი არა, სირცხვილზე აცრეს, მგონი...

გაუქმდეს „ნაცმოძრაობაო“. რაღა ჯანდაბა გაუქმდეს, მკივანა ბოკუჩავა თინათინი, გაჭყლეტილი ეკა, ბურატინო სათენიკა თუ მაიმუნის ჩუტყვავილა ანიკო? „ხაბე“ განტევების ვაცად აიღეს და გაიფინეს, თორემ ერთმანეთს ისე ვეღარ იტანენ, მიშას მავზოლეუმში რომ მიშას მირონმდინარი მაისურია დასვენებული, მისგან გამოდენილი ნაჟურის ცხებაც ვეღარ უშველით...

არა, ნუ, ისეთს იტყვიან, გადაგრევენ კაცს!

პარტიული მენეჯმენტი არ გვივარგოდა და ამიტომაც დავტოვეთ მშობლიური პარტიაო, — ასე ამართლებენ საკუთარ გადარბენას ნაცსექტიდან განდგომილი სტაჟიანი ნაცები.

ცნობილი ნამდვილი ამბავია: თბილისის ერთ-ერთ სკოლაში შინაბერა მასწავლებელი ყოფილა, რომელსაც უფროსკლასელებმა დაფაზე ფალოსი დაუხატეს. გაბრაზებულს დირექტორი მიუყვანია, ნახეთ, ბატონო დირექტორო, თვითმფრინავი დამიხატეს ამ საძაგლებმაო. დირექტორს შეფიქრიანებულს უკითხავს: ქალბატონო იმანო, მაშასადამე, თქვენ არც თვითმფრინავი გინახავთო?

ასეა ამათი საქმეც, ამ ბავშვების დახატული ნაცსექტანტური თვითმფრინავებისა — არც ის იციან, პარტია რა არის და არც მენეჯმენტი სცოდიათ, რა არის...

**ზურა ოქხერელი**



# მიეცით ნიჭსა გზა ფართო...

**– ახლახან, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა „პიზა“-ს 2022 წლის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, სადაც 81 ქვეყნის მოსწავლეთა ცოდნა შეფასდა. საქართველოს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს: მათემატიკის ცოდნაში 15 წლის ასაკის მოსწავლეები 62-ე ადგილს იკავებენ, წაკითხულის გააზრებასა და ბუნებისმეტყველებაში კი – 67-ეს და 2018 წლის იმავე კვლევის შედეგებს, 6-8 ქულით ჩამოვრჩებით.**

*გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი:*

— აღნიშნული შედეგები ჩემთვის ახალი არ არის. 2021 წელს მთავრობამ სახელმწიფო ენის ათწლიანი სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა, სადაც „პიზა“-ს წინა კვლევის შედეგებიც არის შეტანილი. უფრო მეტიც, მწერალმა კოტე ჯანდიერმა აღნიშნა, რომ ათი წლის წინათ მსგავსი კვლევის შედეგებს გაეცნო, რაც მისთვის შემაშფოთებელი იყო — 150 ქვეყნიდან საქართველო ბოლო ათეულში იყო. საუბარია წაკითხულის გააზრებაზე, ზოგადად, მშობლიური ენის ცოდნაზე. ისეთი ქვეყნების გვერდით აღმოვჩნდით, რომელთა დასახელება არც კი გამიგიაო, — ამბობს ჯანდიერი. ათი წლის შემდეგაც შედეგები უცვლელია. მთავრობის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ენის სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი „პიზა“-ს კვლევის შედეგებით ასკვნიან, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონე ძალიან დაბალ მაჩვენებელზეა. მე სხვა რამ მაინტერესებს: რა რეაქცია აქვს სახელმწიფოს, განათლების სისტემას ამ საკითხის მიმართ?!

2004 წელს განათლების მაშინდელმა მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბერძენიშვილმა კვლევის შედეგების პრეზენტირება მოახდინეს, სადაც მეხუთეკლასელების ცოდნის დონის ძალიან დაბალ მაჩვენებელზე იყო საუბარი. მეხუთე კლასის მოსწავლეთა ნახევარმა წერა-კითხვა არ იცოდა. ამ პრეზენტაციას მეც დავესწარი. მაშინ ვიკითხე: ამ ბავშვებს, რომელთაც მეხუთე კლასში წერა-კითხვა არ იციან, ეს ხომ არც მეოთხეში, არც მესამეში და ასე შემდეგ, არ ეცოდინებოდათ?! ვინ და რატომ გადაიყვანა ისინი მეხუთე კლასში?! პასუხი ვერ მივიღე.

„რუსთაველის საზოგადოების“ განათლების კომიტეტის ეგიდით პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში პირველკურსელებთან უმარტივესი გამოკითხვა ჩავატარეთ, რომელთაც ეროვნული გამოცდები ახალი ჩაბარებული ჰქონდათ. მაგალითად, კითხვაზე: რომელ ბრუნვაში, რიცხვში, მწკრივში დგას წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა, უმრავლესობამ სწორი პასუხი ვერ გასცა. ასევე, მათმა დიდმა ნაწილმა არ იცოდა: რომელ საუკუნეში დაწერა ილია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილი“. პასუხები იყო: მე-7, მე-8 საუკუნეში, რაც საგანგაშოა.

ბოლო კვლევის მიხედვით, ქართულის ცოდნის თვალსაზრისით, სავალალო მდგომარეობაა. რა ღონისძიებები ტარდება ცოდნის დონის ასამაღლებლად? — აბსოლუტურად არაფერი. მეტიც, მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ რა „გაკეთდა“, რამაც მდგომარეობა უფრო მეტად დაამძიმა: გასულ წლებში ეროვნულ გამოცდებში ბევრი აბიტურიენტი ჩაიჭრა. და, იცით, რა გააკეთეს „უკეთესი“ შედეგის მისაღწევად? — მინიმალური ზღვარი ქვემოთ დასწიეს. ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობა კი არ გამოსწორდა, უბრალოდ, აბიტურიენტებმა უფრო დაბალ ცოდნაში დადებითი შეფასება მიიღეს! ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო, რამაც მდგომარეობის გაუარესებას შეუწყო ხელი.

2005-2006 წლებში გაუქმდა კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები, რაც ზარ-ზეიმით აღნიშნეს; ბავშვები სიხარულისგან წიგნებს ჰაერში ისროდნენ. სინამდვილეში, ამან უკუშედეგი მოიტანა. გარდა ამისა, იმავე, 2004-2005 წლებში მიიღეს განათლების ახალი კანონი, ჩატარდა რეორგანიზაცია, რეფორმები. შედეგად რა მივიღეთ: სკოლებში ქართული ენის სწავლება გაუარესდა, უმაღლეს სასწავლებლებში კი ქართული ენის სწავლების სავალდებულოობა გაუქმდა.

1978 წლის 14 აპრილის ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ 1980 წლიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყო.

დღეისთვის, უნივერსიტეტში ევროპული და აღმოსავლური ენების სპეციალობებზე ქართული ენა, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი, გაუქმდა. სტუდენტს მხოლოდ არჩევის უფლება დარჩა. ვინ ირჩევს ზედმეტ საგანს, მითხარით?!

2005 წლის მერე დიდი დრო გავიდა და ამ კუთხით არც ახალი ხელისუფლების პირობებში შეცვლილა რამე. ესაა უბედურება. სახელმწიფო ენის დეპარტამენტში დავსვით საკითხი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში აღდგენილიყო თხუთმეტი წლის წინ უკანონოდ გაუქმებული საგნის — ქართული ენის სწავლება. ექსპერტთა საბჭოზე ამ იდეას მიესალმნენ, შემდეგ ამ კანონპროექტს დეპარტამენტიდან პარლამენტამდე უნდა მიეღწია, რათა კანონში შესწორება შესულიყო. სად არის ეს პროექტი გაჩერებული, დღემდე არ ვიცით.

სამწუხაროდ, ამ პრობლემასთან ბრძოლა მე-19 საუკუნეში იაკობ გოგებაშვილსაც უხდებოდა. მაშინ განათლების სფერო იანოვსკის ებარა, რომელიც საშინელი ანტიქართული განწყობის ადამიანი იყო. მან იაკობი დაიბარა და უთხრა: შენს „დედა ენას“ პირველ კლასში დიდი დრო ეთმობა, ამიტომ სწავლების საათები უნდა შევამციროთ და მის ნაცვლად სკოლებში რუსული ენა შევიტანოთო. იაკობმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადა, მას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც დაეხმარა. ბავშვმა წერა-კითხვა, ანგარიში ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს და უცხო ენის შეთვისება მერე დაიწყოს.

2006 წელს, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სკოლებში უცხო ენის სწავლება მესამე კლასიდან იწყებოდა. 2010 წელს, უცებ, განათლების მინისტრმა შაშკინმა გამოაცხადა, რომ ინგლისურის სწავლება ქართულ ენასთან ერთად პირველივე კლასიდან დაიწყებოდა. ფიზიოლოგმა, აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა ეს ინიციატივა თაობების დაღუპვად შეაფასა. იაკობ გოგებაშვილმა რუსეთის იმპერიის პირობებში მიაღწია იმას, რომ ქართული ენა დაიცვა, ჩვენ ამას დღეს ვერ ვახერხებთ. ჩემი მთავარი თხოვნა ხელისუფლების მიმართ შემდეგია: მაჩვენეთ ერთი კონკრეტული ნაბიჯი, რაც შედეგად სწავლის დონის ამაღლებას მოგვიტანს.





**— განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სწავლება ფინურ მოდელზე გადადის. ეს რამდენად შეუწყობს ხელს სწავლის დონის ამაღლებას?**

— ამ თემასთან დაკავშირებით, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ მიწვეული ჰყავდათ განათლების მინისტრის მოადგილე. წამყვანი დაინტერესდა ცოდნის შეფასების კომპონენტებით, თუ რატომ გაუქმდა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება. თამარ მახარაშვილმა უპასუხა, რომ არც საკლასო, არც საშინაო და არც შემაჯამებელი დავალებები განმსაზღვრელი არაა, ნიშნიანი შეფასება არ გაუქმებულა. მინისტრის მოადგილის განმარტებით, ნიშნებით შეფასების სავალდებულოობა გაუქმდა. ანუ, ეს ნიშნავს, რომ შეფასება სავალდებულო აღარ არის. მოსწავლის ნიშნით შეფასება მასწავლებლის, სკოლის ნებაზეა დამოკიდებული! თუ ვალდებულება არ ექნება, რომელი მასწავლებელი ან მოსწავლე „გაირთულებს ცხოვრებას“ და იმას ისწავლის, რაც სავალდებულო არ არის?! სხვათა შორის, ამის გამოცდილება უხვად გვაქვს. თავის დროზე სკოლაში ორი საგანი — ქართული ენა და ქართული ლიტერატურა — ისწავლებოდა. მოგვიანებით ეს საგნები შეაერთეს. სკოლებს უფლება მისცეს, „ქართული“ გაეყოთ — ცხრილში ცალკე ენა ჩაესვათ და ცალკე ლიტერატურა. არ მოხდა ასე და, ფაქტობრივად, „ქართული ენა“ სწავლებიდან ამოვარდა. სავალდებულოობის გაუქმებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ბავშვები სკოლას ამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხებიან, ფილოლოგები უნდა გამოვიდნენ და სახელის ბრუნვასა და რიცხვს ვერ ცნობენ. აი, ასეთ შედეგს ვიღებთ სავალდებულოობის გაუქმებით.

**— ბატონო გიორგი, ეროვნული გამოცდების პროგრამაში ხომ არის შეტანილი ბრუნვა, რიცხვი, მწკრივი და ასე შემდეგ. მაშინ რატომ არ იცის აბიტურიენტების ოთხმოცმა პროცენტმა ეს?**

— დიახ, ცოდნის დაბალი დონე განპირობებულია იმით, რომ გამოცდები ისეთი მეთოდით ტარდება, რომ ღრმა ცოდნა აუცილებელი არ არის, ზედაპირულიც საკმარისია. მაგალითად, სულაც არ არის აუცილებელი ბავშვმა „ვეფხისტყაოსანი“, ილია, აკაკი, ვაჟა წაიკითხოს, მას უამისოდაც შეუძლია უმაღლესი შეფასება მიიღოს. აი, რა ღუპავს საქმეს.

**— საბჭოთა კავშირის დროს სწავლება გერმანული მოდელით მიმდინარეობდა. ახლანდელ მოდელს კი „ბოლონიის პროცესად“ მოიხსენიებენ. თქვენ რომელ მოდელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ამაზე მარტივი პასუხი მაქვს: უპირატესობას იმას ვანიჭებ, რაც ქართული სკოლისა და ქართველებისთვის იქნება უკეთესი. გოგებაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნული სკოლა დააფუძნა, რაც ორ ძირითად პრინციპს ემყარებოდა — ეროვნულობასა და ზნეობრიობას. სკოლას ამ ორ მთავარ პრინციპს თუ გამოვაცლით, გინდ გერმანული მოდელი შემოვიტანოთ, გინდ — შვედური, არაფერი შეიცვლება. მთავარია, ბავშვები ამ პრინციპებით გავზარდოთ. თქვენ, კითხვაში „ბოლონიის პროცესი“ ახსენეთ. იმ პერიოდში, როცა სააკაშვილის ხელისუფლება ეგრეთ წოდებულ რეფორმებს ატარებდა, მაშინ „ბოლონიის პროცესი“ მოიშველიეს. იმ პერიოდში კოტე ჯანდიერმა ჟურნალში წერილი გამოაქვეყნა სათაურით: „შევასწროთ ბოლონიაში“. ეს ნიშნავს,

11 გვ. →

# მოსახლეობის ძარცვის ახალი ტექნოლოგიები და გალაღებული თაღლითების თარეში



*გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ-ის პროფესორი იური პაპასქუა:*

**— ბატონო იური, საქართველოში ბოლო დროს თაღლითური სქემები მომრავლდა. მოსახლეობის ძარცვა ახალი ტექნოლოგიებით ხდება. რა გსმენიათ ამის შესახებ და დაზარალებული მოსახლეობის დაცვის რა მექანიზმები არსებობს?**

— ტექნიკისა და ტექნოლოგიების ევოლუცია ფანტასტიკის ზღვარს გასცდა — უკიდეგანო სამყაროს ყველა წერტილთან კომუნიკაცია, სისტემების დისტანციური მართვა, ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელებაც წარმოუდგენლად მარტივი გახდა, რამაც ცხოვრება გაახალისა. თუმცა, სარგებლის გარდა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანებს თავსატეხიც უხვად გაუჩინა. სიკეთესთან ერთად, ადვილი გახდა საზოგადოებრივ, სამსახურეობრივ, პირადულ ურთიერთობებში აბეზარი ჩარევა; გამარტივდა ადამიანების გონებაზე ტოტალური შეტევა და ტვინების გამორეცხვა. დღეს თაღლითობა, ძარცვა, გაყალბება, ცდუნება და დანაშაულის კვალის წაშლაც ძალიან ადვილია. სამწუხაროდ, ადამიანების მასობრივი განათლება ბევრად ჩამორჩება ტექნიკისა და ტექნოლოგიების ევოლუციას. საითაც უნდა გაიხედო, საცდუნებელი სათაგური ყველგან დაგებულია. როცა გშია, გწყურია, გცივა, გაწვიმს, გათოვს, გტკივა და სხვა საშველს ვერ გრძნობ, ცდუნებას, შეცდომის დაშვებას, რისკზე წასვლას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება.

ამ პლანეტის რიგითი მაცხოვრებელი არც მანამდე იყო უკეთ დაცული, თუმცა უგუნურთა მიერ უკრაინაში ომის აალების შემდეგ, მათი ყოფა უფრო გაუარესდა. უაზრო სანქციები, მათი ადრესატების ნაცვლად, ყველა ქვეყნის მოსახლეს მძიმედ დააწვა — გაძვირდა ენერგომატარებლები, სასურსათო პროდუქტები და საყოფაცხოვრებო პროდუქცია. მათი სიცოცხლის გარანტიებიც, ფაქტობრივად, განულდა. მდიდრებს და ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებს ახალი „სასუსნავი" გაუჩნდათ. მათ ომის შეწყვეტა არც აწყობთ და სისხლისღვრის ახალ სასაკლაოებს აჩენენ. უკრაინიდან, რუსეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან აბარგებული დევნილები სხვა ქვეყნებს შეეხიზნენ და ისეთ სარჩო-საბადებელს ეძებენ, რომელსაც დიდი ინვესტიცია არ სჭირდება.

ხიზანთა „ინტელექტუალურმა" ნაწილმა საქართველოში და




სხვა ქვეყნებშიც სამეწარმეო სუბიექტები შექმნეს და მათ ბაზაზე ჩამოაყალიბეს „ქოლ-ცენტრები", საფინანსო ბირჟა-პირამიდები, საკონსულტაციო ბიუროები, მედიკამენტების შემოტანის და ვაჭრობის დისტანციური თაღლითური სქემები. მათ შორის მხოლოდ „ქოლ-ცენტრების" საქმეზე ატყდა „გაწევ-გამოწევა".

დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფები ევროპელ პენსიონერებს სთავაზობდნენ მცირედი ინვესტიციებითაც დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას დანაშაულებრივი ჯგუფის კვალმა ევროპიდან საქართველოშიც შემოაღწია და ევროპელი კოლეგების მეცადინეობის შედეგად, რამდენიმე პირი დააკავეს კიდეც. საჩვენებელი ტელესიუჟეტები თითქმის, ყველა არხზე გავრცელდა. დაინტერესებულმა მხარეებმა პოლიტიკური „ძიგ-ძიგი" მოაწყვეს. იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებები განეხორციელებინათ, პოზიცია და ოპოზიცია ურთიერთბრალდებებში გადაეშვა. მერე ამ სექტორში დაპირისპირება თითქოს მინელდა, თუმცა მალევე თაღლითურმა სქემებმა საქართველოში ახალი მიმართულებები აითვისეს.

**— ახალ მიმართულებებში რას გულისხმობთ?**

— მომრავლდა კომპანიები, რომლებიც ასაკოვან მომხმარებელს პროსტატის, დიაბეტის, ფსორიაზის, სმენის აღდგენისა თუ სხვა დაავადებების ისეთ „უებარ" უნიკალურ მედიკამენტებს სთავაზობენ, რომელთა შემოტანაზე ვითომ ლიცენზიის გაცემა ხელოვნურად ფერხდება და მათი მეშვეობით ამ მედიკამენტების ადგილზე მიწოდებას „წარმოუდგენლად დაბალ ფასში" ისინი უპრობლემოდ მოახერხებენ. სოციალურ ქსელსა და სხვა მედიასაშუალებებით გავრცელებულ რეკლამებში, ფაქტობრივად, ერთი ხელწერა და ხრიკებია ჩართული — მოგონილი გვარ-სახელებითა და შთამბეჭდავი რეგალიებით, დარგის „ცნობილი" სპეციალისტები აღწერენ გავრცელებული დაავადებების ვერაგობას, დაინტერესებულ პირს არწმუნებენ შეთავაზებული პრეპარატების უნიკალურ შესაძლებლობებში — თითქოს მათი მიღებისთანავე ჩივილები და ავადმყოფობა დაუყოვნებლივ ქრება. ასევე, მოჰყავთ გამოგონილი გვარ-სახელებითა და ფოტოებით, „მადლიერი" პაციენტების აღფრთოვანების გამომხატველი ფრაზები. საინტერესო ის არის, რომ დამოწმებულ ავტორიტეტულ სპეციალისტებსა და პაციენტებს შორის, შესაძლოა, შენი გვარ-სახელი ან ფოტოც აღმოჩნდეს.

სინამდვილეში, ასეთი პრეპარატები წამლების ჩამონათვალში არც იძებნება; არანაირი შედეგი ამ პრეპარატებისგან არ არის — არც მოგკლავს და არც გიშველის. მომხმარებელი მოტყუებული რჩება ცალკე თანხის ფუჭად გადახდის და ცალკე უშედეგო მკურნალობის გამო.

ვფიქრობ, სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი ადამიანია და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ყველა სფეროში წესრიგს უნდა უზრუნველყოფდეს!

საქართველოში უფრო სასტიკი თაღლითური კომპანიებიც მომრავლდნენ, რომლებიც თავიანთი მიზნებითა და საქმიანობის ფორმით „ქოლ-ცენტრებისგან" არაფრით განსხვავდებიან. მსხვერპლის მიზიდვის, დაყოლიებისა და გადაგდების ხრიკები თითქმის ერთია — გულმოდგინედ, დაუნდობლად ასუფთავებენ მოქალაქეების ჯიბეებს და განმკითხავიც არავინაა. დაუსჯელობის გარდა, ამ კომპანიების მომრავლებას ხელს უწყობს საქართველოში შესაბამისი რეგულაციების არარსებობა; მართვის სიმარტივე, უძრავი ქონებისა და მუშახელის სიიაფე, სავალუტო კურსთა სხვაობა, სოციალური ფონი და სხვა მრავალი.

ყველაზე დამაბნეველი და ხელშემწყობი მასშტაბური თაღლითობის განხორციელებაში ის არის, რომ ამ „კამპანიაში" ჩართვის მოწოდებები ქვეყნის პირველ და გავლენიან პირთა სახელით ხდება. სარეკლამო რგოლებში ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ქალაქის მერი მოსახლეობას არწმუნებენ, რომ მათ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და „სოკარის", „ლუკოილისა" თუ სხვა კომპანიების პროგრამებში ჩაერთონ და დამატებითი სოლიდური შემოსავლები გარანტირებულად მიიღონ. ვინც სოციალური ქსელის მომხმარებელია, ამის შესახებ ისედაც იცის. მათთვის კი, ვისაც ვითარების ასეთი აღწერა გადაჭარბებულად ან უსაფუძვლოდ მოეჩვენება.

მაგალითისთვის ერთ-ერთი ასეთი მიმართვის ტექსტს მოვიყვან: „კომპანია „სოკარმა" საქართველოს მაცხოვრებლებისთვის საინვესტიციო პროგრამის დაწყება გამოაცხადა. ახლა ყველას შეუძლია შეუერთდეს ნავთობისა და გაზის გაყიდვას და მიიღოს დივიდენდები თითოეული ტრანზაქციისგან! ყველაფერი, რაც უნდა გააკეთოთ, მითითებულია ვიდეოს ქვემოთ მოცემულ ბმულზე, დატოვეთ მოთხოვნა და მენეჯერის შემდგომ მითითებებს მიჰყევით". ან ასეთი: „მოემზადეთ მინიმალური ინვესტიციის დასაწყებად! აქტივების ნაწილის ხალხისთვის მიყიდვის გადაწყვეტილება გამოიწვევს ჩვენი ერის კეთილდღეობის ზრდას! არ გამოტოვოთ თქვენი შანსი! დააწკაპუნეთ საიტზე მეტი დეტალებისთვის და დაიწყეთ ფულის გამომუშავება!". საყურადღებოა, რომ ამგვარ მოწოდებებს ახლავს წამძღვარება — დაფინანსებული, სახელმწიფო გარანტია. ბევრს ინფორმაციული სურათებიც ახლავს, სადაც პრემიერი ღარიბაშვილი და თბილისის მერი კახი კალაძე არიან გამოსახული. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ეს ლეგალურად ხდება, სახელმწიფო და ხელმძღვანელი პირები ჩართულნი არიან ამ „კეთილშობილურ" საქმეში. მათი გონივრული და საკუთარ ხალხზე მზრუნველი მოქმედებებით თითქოს მოსახლეობას გარანტირებული შემოსავლები გაუჩნდა. მოუმზადებელი და მიამიტი მხარდამჭერები „ავტორიტეტებს" ენდობიან და თვალდახუჭული ყოფენ თავს სიცრუის, თაღლითობის ყულფში.

„საერთო გაზეთის" მკითხველი დეტალებით რომ არ გადავტვირთო, შემდეგს ვიტყვი: რატომღაც ეს სარეკლამო სურათები, ძირითადად, რუსულ ენაზეა, დაინტერესებული პირების კონტაქტი კომპანიის წარმომადგენელთან უპირატესად რუსულ ენაზე ხორციელდება. ჩვეულებრივ, „მეოცნებე" მსხვერპლი თავს განცხრომაში წარმოიდგენს, ამ ყველაფერს დახარბდება და მითითებულ ბმულზე რეგისტრაციას გაივლის, „დამრიგებლის" რჩევას დაჰყვება და სავალუტო ანგარიშს გახსნის. ამ ანგარიშზე განათავსებს სიმწრით ნაგროვებ ან „რამდენიმე დღით" ნასესხებ რაღაც თანხას, **aniDek**-ის მეშვეობით ნდობამოპოვებულ „მეგზურს" თავის კომპიუტერში შემოუშვებს. გზადაგზა ხალისით მოუყვება მის ბიოგრაფიულ დეტალებს, გადმოულაგებს საბანკო ბარათებს. ანგარიშზე თანხის განთავსების შემდეგ მას იმიტირებულ, მართულ პანელს ჩაურთავენ, სადაც თვალს მიადევნებს საფონდო ან სანედლეულო ბირჟებზე მის მიერ „ინვესტირებული" თანხის მუშაობას და საშუალება ექნება, სავაჭრო ოპერაციების „წარმატებით" დასრულების შედეგები მის სავაჭრო ანგარიშზე „მიითვალოს". „ანკესზე წამოგებულ" ყოველ კლიენტს უხსნიან, რომ მათი ინტერესი ამ საქმეში მოგებული თანხის მხოლოდ 10%-ია, რომელიც სავაჭრო ოპერაციების პროცესში იხსნება. სავაჭრო ანგარიშზე დაგროვილი თანხა კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს დაიბრუნოს და გამოიყენოს. ასეთი პირობებით აღფრთოვანებულ, უკვე გათამამებულ პირს თანდათან შენატანს აზრდევინებენ.




11 გვ. →

# მივმართავ ხელისუფლებას: დაასრულეთ მიშას ბოგინი ამ ქვეყანაში!



**„მოვითხოვ, გამცეს პასუხი პროკურატურამ, როგორ ავხსნა, რომ გიას მკვლელები დღემდე ძალიან მაღალ თანამდებობებზე არიან და მაღალი წოდებები აქვთ?!“– ამის შესახებ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული პოლკოვნიკის, გია კრიალაშვილის და „საერთო გაზეთთან“ საუბრობს და ხელისუფლებას მიმართავს, რომ გააქრონ პოლიტიკური სივრციდან ქვეყნის მტერები. ლია კრიალაშვილი დღემდე უიმედოდ ელოდება საქმის გამოძიებას. პროკურატურის პასუხი კი უცვლელია – არასაკმარისი მტკიცებულებები.**

**პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი 2009 წლის მაისში, მუხროვანის ე. წ. ამბოხების საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს.**

**– ქალბატონო ლია, თქვენთვის, ალბათ, განსაკუთრებით მძიმეა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დღემდე მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს, რადგან უშუალოდ მას ადანაშაულებთ თქვენი ძმის მკვლელობაში, ყოფილი პრეზიდენტის დანაშაულებში კი ეს საქმე არც კი განიხილება...**

– დიახ, კონკრეტულად სააკაშვილს და ვანო მერაბიშვილს ვადანაშაულებ. არც ვანოს უგია პასუხი ამ დანაშაულზე, ის არ ყოფილა გასამართლებული ჩემი ძმის საქმის გამო და არც სააკაშვილს სთხოვენ პასუხს. საქმე თაროზეა შემოდებული პროკურატურაში და მტვერი ადევს. რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მძიმეა მათი მოსმენა და მათზე საუბარიც. საინფორმაციო გადაცემებსაც აღარ ვუყურებ, იმდენად მიმძიმს სააკაშვილისა და მისი ტვინგაყინული მომხრეების დანახვა.

ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა“ აღარ არსებობს. ზღაპარში რომ გველეშაპს თავებს წააცლი და მხოლოდ ერთი ბოროტი თავია დარჩენილი, ისეთი სიტუაციაა ახლა ამ პარტიაში. დარჩენილია გველეშაპის მხოლოდ ერთი ბოროტი თავი მიშას სახით – ისიც გახრწნილი. ძალიან მაღიზიანებს, როცა ის სასამართლო პროცესებს პოლიტიკურ ტრიბუნად იყენებს, გამოდის და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, ვითომ მომაკვდავი ადამიანი. ექვსი წელი ძალიან მცირე სასჯელია მისთვის. ექვსი წლის შემდეგ მიშა დაუბრუნდება თავის შვილებს, მაგრამ ჩემმა ძმისშვილებმა რა ქნან, რომ მამას ვეღარასდროს დაიბრუნებენ? რა ქნას ჯამბულ გამცემლიძემ, რომელსაც წლებია, შვილი ენატრება, როგორ გაუძლოს შვილის მონატრებას ია მეტრეველმა? ან ვინ დაუბრუნებს იური ვაზაგაშვილის მეუღლეს მის ქმარ-შვილს?!

მისი მმართველობის დროს წამებით ხოცავდნენ ციხეებში ადამიანებს, ამ ნაძირალას კი ქალებს უგზავნიან პალატაში გასართობად. როგორც ამბობენ, სოფო ნიჟარაძემ მეორე შვილი უნდა გაუჩინოს ამ ბინძურ კაცს. ან ახალგაზრდა ქალი როგორ კადრულობს დორბლიანს და გათახსირებულს, არ ვიცი! შეიძლება ასეა საჭირო იმისათვის, რომ ევროპულ ოჯახში გავწევრიანდეთ და მე ვერ ვხვდები, რატომ მიაჩნია დასაშვებად ხელისუფლებას, რომ ამ ავადმყოფის ყველა ახირება დააკმაყოფილოს?!

**– ევროპულ ოჯახში გაწევრიანებაში „ნაციონალები“ თავისებურად „გვეხმარებიან“. ნახავდით, ევროკავშირის დროშა გაუშლიათ და ქვეყნის პრეზიდენტის დახმარებით რამდენიმე ადამიანიც შეუკრებიათ...**

– „ნაციონალებს“ არანაირი წვლილი არ მიუძღვით ამ სტატუსის მიღებაში. პირიქით, ისინი მუდამ ცდილობდნენ, გაელანძღათ და ჩირქი მოეცხოთ ჩვენი ქვეყნისთვის. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სტატუსი არ მიგვეღო, რადგან ძალიან მარტივი იყო ამის არეულობის საბაბად გამოყენება. თუმცა, ქვეყნის უშიშროებამ დროულად იმოქმედა და მათი ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალა. ეს ყველაფერი კი ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა.

დღეს „ქართულ ოცნებას“ ის რეიტინგი აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდა და მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილის რეიტინგზე დგას პარტია. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი ღარიბაშვილს მისცემს ხმას, ალბათ, არჩევნებზე და არა „ოცნებას“. „ოცნებამ“ თავისი დანაპირები ვერ შეასრულა, ვერ აღადგინა სამართლიანობა, ისევ ისე დევს ბევრი საქმე პროკურატურაში, მათ შორის, ჩემიც. სულ ვამბობ, რომ მთავარია, ქვეყანაში იყოს მშვიდობა, თავზე ბომბები არ გვაცვიოდეს, ბავშვები არ იღუპებოდნენ და ხმას არაფერზე ამოვიღებ-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, გულიც მტკივა, რომ ვანო მერაბიშვილი, კაცი, რომელიც ორ გვამს ითხოვდა, რომელთა შორისაც ერთი ჩემი ძმა იყო, ციხიდან ისე გაათავისუფლეს, რომ ამ საქმეზე არ გაასამართლეს.

**– სამწუხაროა, რომ თქვენს შემთხვევაში სამართალი ვერ აღასრულეს...**

– დღემდე მოვითხოვ, რომ გამცეს პასუხი პროკურატურამ – იქნებ, ასეთია ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ან თუ ასე არ არის, მაშინ როგორ ავხსნა, რომ გიას მკვლელები დღემდე ძალიან მაღალ თანამდებობებზე არიან და მაღალი წოდებები აქვთ?! საქმე ნანახი მაქვს და ვიცი, ვინც ესროლა გიას, მაგრამ არ გვაქვს მტკიცებულებაო, ამბობენ. მე არ ვარ კომპეტენტური და შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ვიცი, რომ ორ გვამს ითხოვდა ვანო მერაბიშვილი. კაცმა მკვლელობა შეუკვეთა და ამის კადრებიც არსებობს. პრემიები გასცა ამის გამო მერაბიშვილმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით და ეს ყველაფერი დევს საქმეში პროკურატურაში. მეტი რა მტკიცებულება უნდათ? ეს ნაძირალა ცოცხალი ლეში სააკაშვილი გამოდიოდა და მიწიდან ამოიღეთ გია კრიალაშვილიო, ამბობდა. რატომ არავინ სთხოვს მას პასუხს ამის გამო? სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას და რუსეთთან კავშირს აბრალებდნენ ჩემს ძმას. ახლა მინდა ვკითხო ამ ლეშს სააკაშვილს და ცოცხალ გვამს, ვანო მერაბიშვილს, რამდენჯერ სცადეს მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო გადატრიალება ამ ხელისუფლების პირობებში? რა მოხდა 20 ივნისს, რატომ მოხდა ეს და რატომ არ არის დაჭერილი დღეს აქციის არც ერთი ორგანიზატორი?!

თუნდაც ნიკა მელია რომ გამოდის და ზღაპრებს ჰყვება, თითქოს ის დაემშვიდობა კეზერაშვილს, დაამთავრა მასთან ყველაფერი და სრულიად ახალ პარტიას აყალიბებს... მელია არ ედგა სათავეში გადატრიალების მცდელობას? მას არ უნდოდა ქვეყნის ამოტრიალება 20 ივნისს? ის თვალებდახატული ბიჭი რომ დაიჭირეს, მამის უკანალში დამჭრელი, რომელსაც ჩვენი უცხოტომელი პრეზიდენტი ვექილად დაუდგა, – იმ ბიჭის გარდა სხვას არავის არაფერი დაუშავებია? რიგით მოქალაქეებზე არ ვსაუბრობ, გული მტკივა იმის გამო, რომ ლიდერები დაკავებული კი არა, მგონი, დაკითხულიც არ ჰყავთ. ჩემი ძმა კი ამ მიზეზით ქუჩაში ჩაცხრილეს. მაგალითად, გოგა ხაინდრავა ამბობს, რომ ისეთი ინფორმაციები და დოკუმენტები აქვს, რაც პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს. რატომ არ ინტერესდება ამით პროკურატურა და სააკაშვილს რატომ არ უმძიმებენ ბრალს ამ საქმეებზე? – იმიტომ, რომ ისევ მუშაობენ იქ მკვლელების ნარჩენები. სააკაშვილს უნდა მიესაჯოს უვადო პატიმრობა – ქვეყნის ტერიტორიები გაყიდა, ადამიანები დახოცა, ქვეყანა გაძარცვა, გაანადგურა და მეტი რა უნდა ექნა იმისათვის, რომ სამუდამოდ ციხეში იჯდეს, ციხეში – და არა კომფორტულ კლინიკაში. ის შეწყალების თხოვნას ვერც უნდა ბედავდეს!

**– ზურაბიშვილი მას ვერ შეიწყალებს, რადგან სააკაშვილის სხვა საქმეებზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება პროკურატურაში, თორემ, ალბათ, არც ამაზე იტყოდა უარს.**

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტს, რომელიც ოპოზიციაში გადაბარგდა, ნამდვილად ექნება ამის სურვილი. ეს უცხოტომელი ხელისუფლებამ და ხალხმა მოვიყვანეთ და დავდეთ, როგორც მაგიდა. მაინც, რა დავაშავეთ, რომ ჯერ მარგველაშვილი მოგვევლინა პრეზიდენტად, შემდეგ ზურაბიშვილი და ყველა პრემიერ-მინისტრმა გაგვიცრუა იმედი ირაკლი ღარიბაშვილის გარდა, რომელიც ღირსეული ადამიანია.

არასდროს ვფიქრობდი, რომ საქართველო რეალურად იყო თავისუფალი, რადგან ამდენი წელია, ამერიკის „ბათინკის“ ქვეშ ვართ. თუკი ღირსებააყრილი მონა ვიქნები, ამერიკის დავემონები თუ რუსეთს, რა მნიშვნელობა აქვს! დღეს ირაკლი ღარიბაშვილმა ღირსების რაღაც ნაწილი დაუბრუნა ქართველ ერს და თუ ეს ქალი არ გაჩერდება, იცოდეს, რომ ხალხს დიდი ძალა აქვს და როგორც მოვიტანეთ და დავდეთ, ისე ავიღებთ და გადავდგამთ გვერდზე.

**– რამდენიმე დღეში ქვეყანა ევროსაბჭოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ელოდება. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის?**

– დიდი მოლოდინი არა მაქვს, რომ ეს სტატუსი რაიმეს შეცვლის. კარგია, რომ მივიღებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ოპოზიციას არეულობის საბაბი მოვუსპოთ. ამით ხელისუფლება მათ ხმას ჩააწყვეტინებს, მაგრამ რომ გითხრათ, რომ სიკეთეს ველი ევროკავშირისგან, ასე არ არის, ისევე, როგორც არ ველი სიკეთეს რუსეთისაგან! რა სიკეთეს უნდა ველოდეთ მათგან, ვისაც თავიანთი თავი გასჭირვებათ და, მგონი, ჩვენ მეტად ვჭირდებით ახლა მათ, ვიდრე ჩვენ ევროპა გვჭირდება. თუმცა კეთილმეზობლური ურთიერთობა ყველასთან აუცილებელია ამ პატარა ქვეყნისთვის. კარგი იქნება, რომ ვიყოთ სუვერენული სახელმწიფო, გვყავდეს მეგობარი ქვეყნები და არა „ვითომ მეგობრები“, რომლებსაც ჩვენი განადგურება უნდათ.



რომ არა ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების გონივრული ნაბიჯები, დღეს, ალბათ, საქართველოს ხსენებაც აღარ იქნებოდა. გავქრებოდით, ალბათ, რუკიდანაც. მე ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი მმართველ გუნდს მომავალ არჩევნებშიც კარგად წაადგება. ხალხი არ დაუშვებს ომის პარტიის დაბრუნებას და აირჩევს ისევ მათ, ვინც ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნა, ისეთ დროს, როცა გარშემო ყველგან ომია.

ხელისუფლებას მინდა მივმართო: მაინტერესებს, მიხეილ სააკაშვილმა როდემდე უნდა იკოტრიალოს „ვივამედში“? როდის უნდა გადაათრიოთ ციხეში, იქ, სადაც მისი ადგილია? დაასრულეთ მიშას ბოგინი ამ ქვეყანაში და გააქრეთ პოლიტიკური სივრციდან ქვეყნის მტერები, ვითომ ოპოზიციონერები და ვითომ ქვეყნისთვის მებრძოლები! მოგვეცით საშუალება ხალხს, რომ მათგან დავისვენოთ ბოლოს და ბოლოს და როგორც გარედან გვაქვს მშვიდობა, ასეთი მშვიდობა იყოს ქვეყნის შიგნითაც. ნუ მიგვიყვანთ იმ ზომამდე, ხალხი გამოვიდეთ და გავცეთ მათ საკადრისი პასუხი. ასევე, ძალიან მინდა ხელისუფლებას ვთხოვო, რომ თავიანთი მხარდამჭერები დააფასოს, „ნაციონალები“ კი მოაშოროს საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან, რადგან ისინი გველივით იცვლიან ტყავს და რამე რომ მოხდეს, ეს „ტყავგამოცვლილები“ ისევ ხელისუფლებას შეუტრიალდებიან.

ოპოზიცია ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება, მაგრამ ჩვენ გვინდა ჯანსაღი ოპოზიცია. იმედი მაქვს, არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობა“ გაქრება პოლიტიკური სივრციდან და ხელისუფლებას ქვეყნის მშვიდად შენების საშუალება მიეცემა!

**ნონა ქარქაშაძე**



# მიეცით ნიჭსა გზა ფართო...

8 გვ.

რომ, რასაც „ბოლონიის პროცესი“ დაარქვეს, ეს არასწორად იყო გაგებული. აქ ფაკულტეტები შეაერთეს. ბოლონიაში ოცი ფაკულტეტი იყო, აქ ეს ექვსამდე დაიყვანეს და „ბოლონიის პროცესს“ დააბრალეს. მე არ მაინტერესებს არც „ბოლონიის პროცესი“ და არც სხვა, თუ ქართული ეროვნული სკოლა ამ ორ პრინციპს უღალატებს — ეროვნულობასა და ზნეობრიობას,... მთავარია, ქართული აღარ იქნება!. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, მომავალმა ქართულის სპეციალისტმა როგორ იცოდეს უკეთ ქართული... ქართულ სკოლას ქართული პრინციპები უნდა ჰქონდეს. მთავარია, ქართული სისტემა ჩამოყალიბდეს...

**— „პიზა“-ს კვლევის თანახმად, მოსწავლეთა შეფასების დონით ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთს ჩამოვრჩებით და ისეთი ქვეყნების გვერდით ვართ, როგორებიცაა იამაიკა, ინდონეზია, გვატემალა, მალაიზია. სულ გვესმის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა გვეზრდება, მაშინ რატომ ვიღებთ ასეთ მონაცემებს?**

— ნიჭი არის ღვთიური მადლი. „ვის დაეცემა ნიჭი, არავინ იცისო“, ხომ გაგიგიათ? ნიჭს განვითარება უნდა, „მიეცი ნიჭსა გზა ფართოო“, ცნობილი შეგონებაა. ბავშვს თუ არ ასწავლე, ის თავისით არ ისწავლის. სკოლადამთავრებულებმა ზეპირად არცერთი ლექსი არ იციან. ასეთი გამოკითხვა ჩავატარე: მაგალითად, დაასრულეთ სტროფი: „ცა-ფირუზ“, ხმელეთ-ზურმუხტო,...“ ანდა „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“... დარჩა დაუსრულებელი... სტუდენტი რომ გეტყვის, ილია მე-7 საუკუნეში მოღვაწეობდაო, ეს მისი ბრალი არ არის, მას, უბრალოდ, არ ასწავლეს. თვითონ რატომ არ მოინდომაო, — საკითხს ასე ნუ დავსვამთ. სკოლას, უმაღლეს სასწავლებლებს პირობები უნდა შევუქმნათ, რათა ქართველმა სპეციალისტებმა ქართული იცოდნენ. ჩვენ კადრებს უცხო ქვეყნებს ხომ არ ვუზრდით?.. უცხოენოვანი ფაკულტეტები ძალიან მომრავლდა. არადა, პირველ რიგში, ხომ ჩვენს ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ. ჩემს ქვეყანას ქართულენოვანი სპეციალისტი სჭირდება, რომელმაც „ვეფხისტყაოსანიც“ უნდა იცოდეს, ილიაც, აკაკიც და ვაჟაც, თუ უნდა, რომ ჯერ მოქალაქე იყოს და მერე სპეციალისტი. ბავშვი ქართულად უნდა გავზარდოთ!.. გოგებაშვილმა თქვა: თუ ადამიანი გენიოსად არის გაჩენილი და მას არამშობლიურ ენაზე მივაღებინებთ განათლებას, მისგან ნიჭიერი კაცი გამოვა. თუ ადამიანი ღმერთმა ნიჭიერ კაცად გააჩინა და არამშობლიურ ენაზე მივაღებინებთ განათლებას, მისგან საშუალო დონის კაცი გამოვა, ხოლო თუ ღმერთმა ის საშუალო ნიჭის კაცად გააჩინა და მას არამშობლიურ ენაზე მივაღებინებთ განათლებას, ის „მტკნარ სიტუტუცეზე ჩამოხტებაო“. ანუ, არამშობლიური ენისა თუ ლიტერატურის გარეშე გაზრდილი კაცის გონებრივი შესაძლებლობა ერთი საფეხურით დაბლა დაიწევსო. უამრავი კვლევაა, რაც ამტკიცებს, რომ ბავშვში მშობლიური ენა იმთავითვე არის კოდირებული. თუ მისი გონების განვითარება მშობლიურ ენაზე არ მოხდება, ეს აუცილებლად უარყოფით შედეგს გამოიღებს.

**— ბატონო გიორგი, კვლევის შედეგებით, კერძო სკოლების მოსწავლეებმა უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე საჯარო სკოლებისამ. ეს რამ განაპირობა?**

— აქ შემდეგი მომენტია გასათვალისწინებელი: კერძო სკოლებში პედაგოგებს მეტი მოტივაცია აქვთ, ანაზღაურებაც დიდია, კლასში კი მოსწავლეთა ნაკლები რაოდენობაა. სულ სხვაა, როცა კლასში 15-20 ბავშვია და არა 30-45. ასე რომ, შედეგზე ყველაფერი მოქმედებს. საჯარო სკოლაში, მთელი სემესტრის განმავლობაში, მოსწავლე პედაგოგმა შეიძლება მხოლოდ ერთხელ გამოკითხოს (მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო), რაც შედეგზე უარყოფითად მოქმედებს. 15-მოსწავლიან ჯგუფში კი ბავშვი სასწავლო პროცესში მეტად ჩართულია.

**— გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ვინც „პიზა“-ს კვლევა ჩაატარა საქართველოში, შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს გადადგა.**

— თუ ეს ფაქტი დადასტურებულია, მაშინ გადადგომის მიზეზი უნდა გაირკვეს: იქნებ, არასწორი შედეგები დაიდო და არასწორი ინფორმაცია გაიგზავნა; თუ ისეთმა ინფორმაციამ გაჟონა, რაც არ უნდა გახმაურებულიყო? ამგვარი ეჭვის საფუძველი ჩნდება... ჩემთვის მთავარი ის არის, რომ კვლევის შედეგები ძალიან მძიმეა, წინა კვლევასთან შედარებით გაუარესებული. აი, ამაზე უნდა ატეხოს განგაში განათლების სამინისტრომაც, პარლამენტმაც, მთავრობამაც და ქვეყანამაც.

**— ბოლოს გკითხავთ, როგორ დავაბრუნოთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ზრდილობა?**

— საუბარში ვახსენე, რომ ეროვნული განათლების სისტემა ორ მთავარ პრინციპს დაეფუძნამეთქი — ეროვნულობასა და ზნეობრიობას. კი, ბატონო, სტუდენტებს აქვთ გარკვეული უფლებები, მაგრამ მოვალეობებიც ხომ აქვთ. მათ უნდა გაითავისონ, რომ უნივერსიტეტი, უპირველესად, ზნეობრივი სივრცეა. წინა ინტერვიუში აღვნიშნე და ისევ გავიმეორებ: ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში ქუდმოხდილი შედიოდა. ამით უნივერსიტეტს პატივს მიაგებდა. არ შეიძლება აღშფოთებული თუ გაბრაზებული სტუდენტი მერხებზე დარბოდეს, ყვიროდეს, ღრიალებდეს. ეს არ შეეფერება უნივერსიტეტს. ზნეობაც დავკარგეთ, რაც ცუდ შედეგს მოგვიტანს... თუმცა, მოგვიტანა კიდეც: როცა სცენიდან, ტელევიზიიდან, პარლამენტიდან, ნებისმიერი საჯარო სივრციდან ბილწსიტყვაობის კორიანტელია და განმკითხავი არავინაა...

**თამარ შველიძე**

# მოსახლეობის ძარცვის ახალი ტექნოლოგიები

7 გვ.

ყველა შემთხვევაში, დამატებითი შენატანები ხორციელდება ლარებში ცენტრის თანამშრომლის პირადი ანგარიშის მეშვეობით. ესეც „იღბლიანი ბიზნესმენის სასიკეთოდ“ ხდება, რათა კონვერტაციის თანხა ზედმეტად არ გადაიხადოს.

თაღლითური ცენტრის სახეები კარგად ფლობენ დარწმუნების ხელოვნებას, ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარებს. გამოცდილების, ცოდნის თუ ალღოს მიუხედავად, ანგარიშზე დაგროვილი სოლიდური თანხითა და მოგების ზრდის პერსპექტივით, წარმატების მომლოდინე ბაიყუშებს უგონოდ აბრუებენ. მერე უნებლიე შეცდომას დაუშვებინებენ, რასაც შეუძლია მთელი მობილიზებული და ვითომ მოგებული რესურსი „შეიწიროს“. უკვე ჩიხში მოქცეულსა და დასაღუპად განწირულს, კატასტროფული მდგომარეობის გამოსასწორებლად კვლავ შეაგულიანებენ — შენატანი გაზარდოს. დაარწმუნებენ, რომ ეს სულ რამდენიმე საათის განმავლობაშია საჭირო, სრულ თანხას მალე დაიბრუნებს ბარათზე და ვალებს უპრობლემოდ გაისტუმრებს. ანგარიშზე თანხის დაბრუნების დროს კი მოულოდნელად შეიქმნება გაუთვალისწინებელი შეფერხება, ვითომდა, მომსახურე ბანკი ბლოკავს ტრანზაქციას და გაუგებრობის ასარიდებლად, საჭირო გახდება სადაზღვევო გადახდის განხორციელება. ეშაფოტზე ყულფგანასკვნილ მსხვერპლს ამ თანხის სრულად დაბრუნებასაც დაჰპირდებიან. ზოგს არ აქვს ეს „მარჯის გასაზრდელი“ და „სადაზღვევო გადასახდელის“ თანხა, ამიტომ სესხულობს, ყიდის აქტივებს, ეძებს ხსნას და ითხოვს შველას. აღწერილ თანმიმდევრობაში, შესაძლოა, ოდნავ განსხვავებული ახალი აფიორები გაჩნდეს. თუმცა, საბოლოოდ, ყველა ხვდება, რომ მაზეში გაება და თუ მოთმინება არ ეყოფა, აქ სრულდება მათი „ახალი ბიზნესი“ და დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. დამჯერებს და მომთმენებს კი წინ ახალი თავგადასავლები ელით. ასეთია წერას აყოლილი მსხვერპლების დასასრული. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი აქ სრულდება.

იმავე სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო სივრცეში გამოჩნდნენ ახალი ტიპის იურიდიული კომპანიები, საფონდო ბირჟა-პირამიდების მსხვერპლთა და თაღლითურ სქემებში მონაწილეობით დაზარალებულთა დასახმარებლად. ასეთი კომპანიების ადგილსამყოფელი პოლონეთში, ბელგიაში, სხვა მეზობელ ქვეყნებშია. ისინი არწმუნებენ თავიანთ კლიენტებს, რომ რამდენიმე დღეში დაუბრუნებენ დაკარგულ თანხებს და მხოლოდ ამის შემდეგ აიღებენ საკომისიოს დაბრუნებული თანხის 7-10%-ის ოდენობით. მანამდე კი მათ უნდა მიაწოდონ ყველა დოკუმენტი, რაც თაღლითებისა და შესრულებული ტრანზაქციების იდენტიფიცირებაში დაეხმარებათ, მათ შორის, მიითხოვენ საბანკო ანგარიშების ამონაწერებს, საბანკო ბარათების ნომრებს, კოდებს და პაროლებს, ყველა ბიოგრაფიულ თუ პირად ინფორმაციას. მერე გაირკვევა, რომ რამდენიმე დღე კი არა, საქმის შესწავლას თვეები სჭირდება...

**— რა გამოდის, საშველი არ არის?**

— ჩვეულებრივ, ასეთი კომპანიები და თაღლითები ყალბი სახელებითა და მისამართებით მოქმედებენ. მათთან ხელშეკრულების გაფორმება ან პირადი კონტაქტი არ ხდება. ისინი ხშირად იცვლიან ნომრებს, ლოკაციებს და ასე შემდეგ. მათი აღმოჩენა ძალიან ძნელია. ვის უნდა უჩივლო, ან რომც უჩივლო, განმკითხავი მაინც არავინაა. ვინ მოთვლის, რამდენია მათი მსხვერპლი, რამდენი პირის ანგარიშებია ტოტალური დაკვირვების ქვეშ, რამდენი იმედგაცრუებული ადამიანი სამტროდ განუდგება თავიანთ „ავტორიტეტებს“ — ქვეყნის ხელისუფალთ და საჭეთმპყრობელებს.

ამ სარეკლამო რგოლებს ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს. ბევრი, მოქმედი თაღლითური სქემის მსხვერპლია. მოსახლეობის ძარცვის ღია მოქმედებებზე წაყრუების გამო თაღლითები თავისუფლად თარეშობენ. სამწუხაროდ, ამ უბედურებაზე დუმს საზოგადოება, არ მოქმედებს პროკურატურაც.

**— ასე როდემდე უნდა ითარეშონ თაღლითებმა? ვის აძლევს ეს ხელს?**

— მაქვს განცდა, რომ ადგილი აქვს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზანმიმართულ მცდელობას, რასაც მასობრივი სავალალო შედეგები ახლავს. საგანგაშო ვითარებიდან გამომდინარე, პრემიერს მოვუწოდებ: გააქტიურდეს. მით უფრო, დაუყოვნებლივ საჭიროა საზოგადოების, ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კოორდინირებული აქტიური მოქმედებების განხორციელება. მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, გამოფხიზლდეს, რომ კიდევ უფრო ღრმად არ შეტოპოს და თაღლითების წინააღმდეგ ხმა აიმაღლოს.




**თამარ შველიძე**

# „რა სარგებლობას მოგვიტანს“ დღეს არსებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

ვაშა და სამგზის ვაშა! ვთქვათ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მივიღეთ! მაშინ უკვე შეგვეძლება, არხეინად ჩამოვსხდეთ, ფეხი ფეხზე გადავიდოთ და ხან კრუასანები ვციცქნოთ, ხან ტორტი „პრაღა“ მოვიგდოთ ყბაში, რა გვენაღვლება, ევროები თქეშად წამოვა ციდან. — ვაი, თქვენს პატრონს ვინც ასე ფიქრობს.

მე სხვა რამ მაინტერესებს, ნაცმოს პარტიული დროშა, სახელმწიფო დროშად რომ დაგვიკანონა მიხეილ სააკაშვილმა, გვერდზე ევროკავშირის და ლურჯი ვარსკვლავებიანი დროშა უნდა დავკიდოთ, მის მომდევნოდ კი საზამთროსგამოსახულებიანი, თუ „ჰამასს“ კიდევ რაღაც საკუთარი დროშა აქვს, და, უბრალოდ, პალესტინის ზურგს ეფარებიან?

ძალიან მაინტერესებს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მქონემ, საქართველომ, 26 საუკუნე რომ ვიფარებდით დევნილ ებრაელებს, ახლა მათი მოძულე ისლამისტები უნდა დავაფინანსოთ ჩვენ გაჭირვებულებმა და იქით დასაფინანსებლებმა?

მე ხომ არ ვთხზავ, ვებერთელა სათაურით გამოქვეყნდა სტატია, რომ ევროკავშირი კვლავ აფინანსებს ისრაელის მოძულე ისლამიტებს. „კვლავ“, ნიშნავს, რომ ევროკავშირი აფინანსებდა და კვლავაც განაგრძობს ისლამისტების დაფინანსებას. სწორად ვერ გავიგე?

მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს საფრთხეს, რომლის მიხედვით, შესაძლოა, უნებლიედ „ჰამასიც“ დააფინანსონ, ევროკომისია პალესტინის ხელისუფლების (PA) დახმარების გაგრძელებას აპირებს.

როდესაც ევროკავშირის კომისარმა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ განაცხადა, რომ პალესტინას დახმარებას გაუყინავდნენ, მის განცხადებას ოფიციალურად არ დაეთანხმნენ მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც კომისრის სიტყვების უარყოფას შესამჩნევად ჩქარობდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, დაფინანსების შესახებ ოფიციალური შიდა აუდიტის ჩატარებას მათ მხარი დაუჭირეს.

„ფაინენშელ თაიმსის“ ინფორმაციით, აუდიტმა დაადგინა, რომ „პალესტინის დაფინანსება ტერორისტული ჯგუფების უნებლიე დაფინანსებას არ გამოიწვევდა“.

ევროკომისიას, რომელიც „ჰამასის“ მიერ კონტროლირებადი ღაზას სექტორის უმსხვილესი დონორია, არ სურს ახალი შემოწმების ჩატარება, იმაში დასარწმუნებლად, რომ გამოყოფილი თანხები არასწორი მიმართულებით არ წავა.

პალესტინისათვის ევროკავშირის დახმარების გაყინვის შესახებ მოწოდებებს რამდენიმე მიმომხილველი გამოეხმაურა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეს გადაწყვეტილება, სინამდვილეში, „ჰამასის“ წისქვილზე დაასხამს წყალს.

ბრიუსელში ბაზირებული „ევროპული ახლო აღმოსავლეთის პროექტის“ ხელმძღვანელმა მარტინ კონეჩნიმ „გარდიანში“ დაწერა, რომ დახმარების შეწყვეტით „დაისჯება „ჰამასის“ მთავარი კონკურენტი პალესტინის ხელისუფლება (PA), რომელსაც ევროკავშირი უჭერს მხარს.“ მისი დასუსტება, დასავლეთის სანაპიროზე მისი მმართველობის ჩამოშლა და მისთვის დაფინანსების შეჩერება „ჰამასისთვის“ იდეალური საჩუქარი იქნება.

ჟურნალ „თაიმსის“ მიმომხილველი მელანი ფილიპსი: „დასავლეთი მიამიტურად აღიქვამს ისრაელის მიმართ გამოვლენილ სიძულვილს“. იგი მკაცრად აკრიტიკებს „დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ „ჰამასი“ „ბოროტი“ პალესტინელების ერთობლიობაა, პალესტინის ხელისუფლებაში კი „კეთილი“ პალესტინელები არიან, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოს ფლობის უფლება აქვთ.

პალესტინის ხელისუფლებისა და გავლენიანი პარტია „ფათჰის“ ჩინოვნიკები 7 ოქტომბრის მოვლენებს გამოეხმაურნენ და უფრო მეტი ებრაელის დახოცვისა და ისრაელის სახელმწიფოს განადგურების მოწოდებით გამოვიდნენ. აღფრთოვანდნენ „ჰამასის“ სისასტიკით, რომელიც სიამაყის, გმირობისა და პალესტინელი ხალხის ღირსების წყაროა“.

გასულ თვეში, როდესაც მსჯელობდნენ „საჭიროებდა თუ არა დახვეწას“ პალესტინის ხელისუფლებისთვის განკუთვნილი დახმარება, როგორც ჩანს, ევროკომისიამ გამოტოვა ან უგულებელყო ასეთი მნიშვნელოვანი თემები. კომისიის რუპორები ჯერჯერობით უარს აცხადებენ დახმარების გაგრძელების შესახებ კომენტარის გაკეთებაზე.

რაღაც უცნაური სიჩუმეა დასადგურებული აშშ-ის მხრიდან



შექმნან ცალკე სახელმწიფო“ (დავით ბერძენიშვილი), „აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწფოებრიობა დაიწყება“ (პაატა ზაქარეიშვილი) და ა.შ. სხვანი და სხვანი. ვიღაც ფადი ასლიმაც კი იგივე თქვა, საქართველოში ჩაბუდებულმა ბედუინების ქორვაჭარმა შთამომავალმა. საქმე იმაში გახლავთ, რომ „საქართველო მისი ტერიტორიების გარეშე“ ვიღაცის იდეა-ფიქსია და ქართველი ერის მუწუკებს ახმოვანებინებენ...

საბძოლველად არის შექმნილი, ისევ მათი მხრიდან ფინანსდება და ისინივე არიან დეზინფორმაციის წყარო...

გარდა ამისა, ევროპული პირობების შესრულება რომ ყოველთვის არ ახდენს დადებით გავლენას იმ ქვეყნებზე, რომლებიც ცდილობენ ევროკავშირში გაწევრიანებას, ამასაც კარგად ვხედავთ. სწორედ ამის გამო მოხვდნენ საბერძნეთი და პორტუგალია ევროზონის სავალალო კრიზისში. კიდევ კრიზისი და უბედურება გვეჭირვება?!

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიცემასთან დაკავშირებითაც და ევროკავშირის მიმართაც პალესტინის დაფინანსების თემასთან დაკავშირებით.

ყველა საკუთარ თავს მიხედავს, ჩვენ რა ვქნათ, როცა სტატუსის მოცემამდე დაიწყეს საქართველოს ტერიტორიით ვაჭრობა?

რუსულ გამოცემასთან ინტერვიუში, ევროკომისიის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ თქვა, რომ ევროკავშირი განიხილავს ვერსიას, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება მოხდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარეშე.

ამ ანტიქართული და მოღალატეობრივი იდეის შემოგდება პერიოდულად ხდება. კარგად მახსოვს: „აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ“ (თინა ხიდაშელი), „აფხაზებს აქვთ უფლება,



საზოგადოებაში პიტერ სტანოს ჭიკჭიკი ეჭვს ბადებს, რომ შესაძლოა, ასეთი ე. წ. დათქმა მართლაც რეალური გახდეს და მერე რა უნდა ვქნათ, სულთმობრძავ ევროკავშირს ვამჯობინებთ ჩვენს მიწა-წყალს?

რა თამაშის კონტურები იკვეთება, ხედავთ? — საქართველოს თვითონ ათქმევინებენ უარს ყველანაირ დასავლურ კავშირზე და ე.წ. დასავლური ღირებულებების უარმყოფელიც საქართველო გამოვა... პირადად მე დიდად არ ვინაღვლებ, კავშირებში ხტუნაობის მომხრე არ ვარ, თვითმყოფადობაა ჩემი არჩევანი, მაგრამ მაინც, მივყვეთ საქმის ვითარებას...

ის, რასაც ახლა მე, რიგითი მოქალაქე ვამბობ, რატომ არის ძნელი სათქმელი?

ევროკავშირი, მაგალითად, ითხოვს ევროკავშირის საგარეო კურსის მიყოლას, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას, დეპოლარიზაციას, სამოქალაქო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

ზოგიერთი პუნქტის შესრულება რომ წარმოუდგენელია საქართველოს საშინაო საქმეებში სწორედ აშშ-სა და ევროპის ჩარევის გამო, ამის პირში თქმას რა უდგას წინ?!

რანაირად შეიძლება, ებრძოლო პოლარიზაციას, ვიდრე დასავლეთი აფინანსებს ოპოზიციას და მის წინაშე მიზნად აყენებს საქართველოს ხელისუფლების შეცვლის მიზნით ქვეყანაში არსებული სიტუაციის შერყევას?

მასმედიისა და არაკომერციული ორგანიზაციების უმეტესობა, რომელიც ვითომდა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და ყალბ ამბებთან

მუდმივად ვიმეორებ: რატომ არ ვუსმენთ დიდ ბრიტანეთს, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი შემქმნელია და პირველმა დატოვა „თავისი“ კავშირი ისე, რომ არც დაუფარავს მიზეზი, — ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდაო; გასავალი მეტი იყო, ვიდრე შემოსავალიო და ა. შ.,

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის და უახლოეს მომავალში არც გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა, დასავლეთი უკვე გვაიძულებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას, რომელთანაც ურთიერთობების განვითარება პირდაპირ აისახება ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე.

**„რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებით, საქართველო ვერ გარისკავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობითა და მისი მოქალაქეების სიცოცხლეებით. ეს არ არის ევროინტეგრაციის ტოლფასი“**, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა და გულს მომეფონა. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ უარი იმაზე, რაც საქართველოსა და მისი მოქალაქეებისთვის საზიანო იქნება და ასეთი საქართველო იმ ევროკავშირში ვითომ რატომ არ უნდა ვუნდოდეთ?

**ევროკავშირი ხომ ის კავშირია, რომელიც ისე კარგად არღვევს და უგულებელყოფს საკუთარ რეკომენდაციებს, როგორც უკეთესი იქნება მისთვის. მაგალითად, ლატვიას არ გაუწყვეტია ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან,**

მაგრამ აგრძელებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობაზე უარის თქმით.

„ჩვენგან მოითხოვდნენ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, თავად კი რუსეთში ოთხჯერ მეტ ღვინოს ყიდიან. ეს არის ორმაგი სტანდარტები კონკრეტული პოლიტიკოსების მხრიდან“, — აღნიშნა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

ესეც კარგია, როდესაც უკვე ღიად ითქმება ორმაგის სტანდარტების შესახებ!

ახლა ველი, როდის ეტყვიან ევროპას (არა მხოლოდ) სხვა დანარჩენ სათქმელს პირდაპირ და ოფიციალურად, რომ ევროკავშირისკენ სწრაფვაში საქართველო არ გულისხმობს იმას, რომ ევროპამ უნდა აკონტროლოს და მითითებები მოგვცეს ჩვენს საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ეუთო-ს კრიტიკაა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების მიმართ, რომელსაც პარლამენტი ქვეყანაში მომზადებული არეულობების შესახებ ინფორმაციის ფონზე განიხილავდა. ასეთ საკითხებში ჩარევა, ზეწოლა და მისთანები, ხელისგულზე გვიდევს და კმარა!

2024 წლის არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა რომ გარდაუვალია 2024 წლის არჩევნებზე, უკვე ჩანს. ე.წ. დასავლეთს იმდენად უსწრებს სული, რომ უკვე წინსწრებით გამოხატა უნდობლობა საარჩევნო პროცესის მიმართ, რითიც კიდევ ერთხელ და არა უკანასკნელად, არსებული პოლარიზაციაა გაამწვავა.

ბუნებრივია, რომ ევროკავშირის წარმომადგენლების პროვოკაციული გამოსვლები გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების ხედვაზე — ერთ მხარეს თუ აღშფოთებას იწვევს, მეორე მხარეს არეულობისთვის აქეზებს.

საქართველოში გერმანიის ელჩმა პიტერ ფიშერმა განაცხადა, რომ ევროპის კავშირი არ მიიღებს თავის რიგებში ახალ სახელმწიფოს, რომლის არჩევნების შედეგები კითხვებს აჩენს. როგორც ჩანს, ნებისმიერი შედეგი გააჩენს კითხვებს, თუ რაღაც არ მოხდება ისე, როგორც დასავლეთის ინტერესებშია.

ამჯერად ეკონომიკაში თავზარის დაცემის სავარაუდო მომავალს არ შევეხები, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში საქართველომ ფართოდ გაუღო კარი ევროპას, ევროპამ კი უმცირესი ჭუჭრუტანა დაუტოვა საქართველოს, მთლად რომ ოქროცურვილი ხოლ-ბოსტნეული გვქონდეს, ქვოტები გვაქვს დაწესებული...

ჩემსას ვდარდობ, თორემ რა მრჯის...

ახლა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ევროპის უმაღლესი წარმომადგენლების მხრიდან საქართველოს ევროინტეგრაციის მომავალი, შესაძლოა, ერთობლივ პაკეტში განიხილონ, სერიოზულად მიჩნდება ეჭვი, რომ იმ ევროპაშიც ვერ არის საქმე დალაგებულად. რანაირად შეიძლება ერთობლივ პაკეტში განიხილო კანდიდატის სტატუსის მქონე და სტატუსის არმქონე ქვეყნები? რა შუაშია უნგრეთის პოზიცია, რომელმაც, შესაძლოა, დაბლოკოს უკრაინის ევროკავშირის წევრობის საკითხი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან, საბავშვო ბაღია და ბავშვები თამაშობენ? თუმცა, თუ ამის კადრებაზე მიდგა საქმე, თვალნათელია, რომელი ქვეყნები იქნებიან წინააღმდეგი — ლიეტუა, ლატვია და ესტონეთი, რადგან ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მიზეზთა გამო, ზესიმპათიით არიან განწყობილი საქართველოს შიდა მტრების მიმართ.



## ფლორენციის მანიფესტი: „არ გვინდა ეს გლობალისტური ევროპა. ჩვენ სოლიდარობას, უსაფრთხოებას, თავისუფლებასა და საკუთრებას ვუჭერთ მხარს“

რატომ არ გვეუბნებიან, რომ ევროპარლამენტში მოქმედმა მემარჯვენე პოლიტიკურმა ჯგუფმა „იდენტურობა და დემოკრატია“ (ID) 3 დეკემბერს ფლორენციაში დიდი ყრილობა ჩაატარა, რაც არაოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მომავალ წელს ევროკავშირში არჩევნები უნდა ჩატარდეს.

ღონისძიებას, რომელსაც იტალიის ვიცე-პრემიერ მატეო სალვინის პარტიამ (ლეგა) უმასპინძლა, ევროპიდან 14 სხვადასხვა სუვერენული პარტიის ათასზე მეტი წევრი და წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის: მარინ ლე პენის პარტია „ეროვნული გაერთიანება“, „ალტერნატივა გერმანიისთვის“, „ავსტრიის თავისუფლების პარტია“, გერტ ვილდერსის „თავისუფლების პარტია“, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ნიდერლანდებში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, პორტუგალიიდან პარტია „ჩეგა“, პოლონეთიდან „კონფედერაცია“, „დანიის სახალხო პარტია“, „ესტონეთის კონსერვატიული სახალხო პარტია“ და ახალი პოტენციური წევრები რუმინეთიდან და ბულგარეთიდან.

„ჩვენთვის სასწორზე (ევროკავშირის არჩევნები) ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნება დევს“, — განაცხადა მარინ ლე პენმა ვიდეომიმართვაში და მაკიაველის სიტყვები მოიშველია: „ტირანების მიერ შექმნილი საუკეთესო ციხესიმაგრე ხალხის უმოქმედობაა“.

მატეო სალვინი, გეროლდ ანემანსი, ტინო ხრუპალა, კოსტადინ კოსტადინოვი, ჯორჯ სიმიონი: „დღეს ისტორიული დღეა. ევროპელებს ექნებათ არჩევანი. თავისუფლებაა, მეორე მხარეს კი შიში; ერთ მხარეს უფლებები და სამუშაო ადგილებია, ხოლო მეორე მხარეს — ექსტრემიზმი... დღეს ფლორენციაში თავი მოიყარეს ევროპის მეგობრებმა, ევროპის დამცველებმა. დღეს ფლორენციაში შეკრებილი ქალები და მამაკაცები დაამარცხებენ იმ გიგანტს, რომელიც ევროპის პირველი მტერია — მასონური ბიუროკრატიული რეალობა! ჩვენ არ გვეშინია! ჩვენ ევროპას არ ვუპირისპირდებით, პირიქით, მას ვუჭერთ მხარს. მწვანე და მემარცხენე პოლიტიკურმა კლასმა ევროპის ოცნება გააუპატიურეს. ყველამ, ვინც კრიტიკულად არის განწყობილი ევროკავშირის მიმართ, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლოს. გაერთიანებულ და კონსოლიდირებულ მემარჯვენე ცენტრს შეუძლია გაიმარჯვოს და ბრიუსელი იმ ადამიანებისგან გაათავისუფლოს, რომლებიც უკანონოდ არიან ამ ქალაქში მოკალათებულები და თავიანთ ინტერესებს ახორციელებენ. გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს ქვეყნებზე, ისეთმა ადამიანებმა უნდა მიიღონ, რომლებიც კარგად იცნობენ მათ და უყვართ. არ გვინდა გლობალისტური ევროპა. ჩვენს უკან ათობით მილიონი ევროპელი დგას. მილიონობით ევროპელი, რომლებსაც არ სურთ, საკუთარ სახლებში სტუმრები იყვნენ. ჩვენ სოლიდარობას, უსაფრთხოებას, თავისუფლებასა და საკუთრებას ვუჭერთ მხარს. ჯოჯოხეთში ვართ, თუმცა, გვაქვს ისტორიული შესაძლებლობა, რომ ჯერ სალხინებელში გადავინაცვლოთ, შემდეგ კი სამოთხეში. ამას მხოლოდ საერთო ძალისხმევით მივაღწევთ.“ ამ მიზნის მისაღწევად სალვინი მოწოდებით გამოვიდა, რომ ბრიუსელში დიდი მემარჯვენე კოალიცია შექმნან.

ყრილობამ მიიღო ახალი საარჩევნო პროგრამა „ფლორენციის მანიფესტი ხალხებისა და ქვეყნებისთვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ არა მხოლოდ ინდვიდებს, არამედ ქვეყნებსაც აქვთ უფლებები. პროგრამაში გაკრიტიკებულია ციფრული სერვისების აქტი, რომელიც ინტერნეტში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს; ასევე, „მწვანეთა“ დღის წესრიგი, რომელიც იწვევს ფასების ზრდას და ზიანს აყენებს ევროპის მრეწველობას; რომ ევროპული ინსტიტუტები გამჭვირვალობის საშინელ ნაკლებობას განიცდიან; და არსებული ძალისხმევა არაა საკმარისი, რათა შეიცვალოს ხელშეკრულებები და შექმნას ევროპის „სუპერსახელმწიფო“.

არც იმას გვეუბნებიან, რომ ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში „თავისუფლების პარტიამ“ გაიმარჯვა, რომლის ლიდერი გერტ ვილდერსი სასტიკად ეწინააღმდეგება უკრაინის დახმარებას და ტრადიციული ღირებულებების მატარებელია. მას მიაჩნია, რომ ნირედლანდებმა თვითონ უნდა აკონტროლოს საკუთარი საზღვრები, ფული და კანონები და ამიტომ, ევროკავშირიდან გასვლაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. ასევე, მას საჭიროდ მიაჩნია, რომ მთავრობამ დაფინანსება უნდა შეუწყვიტოს ყველა ტიპის მემარცხენე პოლიტიკურ აქტივობებს, მათ შორის „გენდერულ საკითხებზე, კლიმატის სიგიჟეებს და მრავალფეროვან სისულელეებს“; ასევე, იგი მოითხოვს სამთავრობო ინფორმაციის არაბულ და თურქულ ენებზე ტრანსლირების შეწყვეტას.

ჩვენ რა ვართ ასეთი გაჯიქებული შეუსმენლები?

9 დეკემბრის აქციაზე მხოლოდ ევროკავშირის დროშის მკერავები იყვნენ, თუ მხოლოდ 122 საქართველოს მოქალაქე ჰამოვიდა პრეზიდენტის დაძახებაზე: „ქუდზე კაციო“?!

ამ აღტკინებულ უმეცარ ბრბოს სიღრმეებში ჩახედვა არ აინტერესებს, მხოლოდ აკვიატება სჭირს, სახელად „ევროპა“...

ერთი კვირაც და, როგორც გვპირდებიან, გამარჯობის ნაცვლად ერთმანეთს ასე შევძახებთ: ტაში, კუკური, ევროპაში ვართ!

**P.S.** ცხონებულმა ჯანსულ ჩარკვიანმა მითხრა, პარტია უნდა შევქმნა და ვჩპ (ვაი, ჩვენს პატრონს) დავარქვაო. ამ მოცემულობაში, ვეჭვობ, ეს პარტია შექმნილია უკვე...

**ზურა ოშხერელი**



# ბენიამინ ნეთანიაჰუ: „სამშვიდობო ძალებს სიკეთე არავისთვის მოუტანიათ!“




მსოფლიოში არსებულ ცხელ წერტილებს, შესაძლოა, კიდევ ერთი რეგიონი — სამხრეთ ამერიკაც შეემატოს. ლათინურ ამერიკაში შეიარაღებული დაპირისპირებები კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის ხშირია. ამჯერად, შესაძლოა, სახელმწიფოებმა ერთმანეთს ომი ოფიციალურად გამოუცხადონ. მიზეზი ტერიტორიული პრეტენზიებია.

ვენესუელა პრეტენზიას გაიანას ტერიტორიაზე არსებულ რაიონზე აცხადებს, რომელსაც თავის საკუთრებად მიიჩნევს. ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ მოსახლეობის აზრის გასაგებად რეფერენდუმიც ჩაატარა, ქვეყნის მოსახლეობის 95%-მა მხარი სადავო ტერიტორიების მიერთებას დაუჭირა. რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ, მადურომ გასულ კვირას გამოსცა დადგენილება რაიონის ვენესუელის ტერიტორიად და 24-ე შტატად გამოცხადების შესახებ.




ვენესუელის გადაწყვეტილებამ შეაშფოთა სამხრეთ ამერიკის, განსაკუთრებით ვენესუელის მეზობელი ქვეყნები. ბრაზილიამ ვენესუელა-გაიანის საზღვრებთან შეიარაღებული ძალების მობილიზება დაიწყო. აშშ-ის სამხედრო ბაზებზე განგაში გამოცხადდა. გაიანას ხელისუფლებამ დახმარება და თანადგომა სთხოვა აშშ-ს, ბრიტანეთს, ბრაზილიას. აღსანიშნავია, რომ გაიანას, პრაქტიკულად, შეიარაღებული ძალები, არმია არ ჰყავს. სავარაუდოდ, თუ გარე ძალების პროვოკაცია არ მოხდა, არც ბრაზილიელები გამოიჩენენ ვენესუელასთან შეიარაღებული დაპირისპირების ინიციატივას. ჯერ ერთი, ბრაზილია ბრიქსის წევრია, ქვეყნის პრეზიდენტს ლულა და სილვას საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვს ორგანიზაციის მთავარი წევრების, ჩინეთისა და რუსეთის მეთაურებთან, ხოლო ქვეყნებს მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა აქვთ ვენესუელასთან.

ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, რა გახდა ამერიკის კონტინენტის სამხრეთით პოლიტიკური ვითარების გამწვავების მიზეზი. როგორც ირკვევა, ეს ბუნებრივ რესურსებს უკავშირდება. ახლო წარსულში სადავო ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს. გაიანას ხელისუფლებამ რესურსების მოპოვების ლიცენზია აშშ-ისა და ბრიტანეთის მსხვილ კომპანიებს გადასცა. მადურომ მათ სამი თვის ვადა მისცა ტერიტორიის დასატოვებლად. საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ნავთობისა და გაზის მომპოვებელი დიდი კორპორაციები უბრძოლველად არ თმობენ პოზიციებს.

კვლავ რთული ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის არმია განაგრძობს ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაციებს როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთით. აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფლება ღაზას მოსახლეობას მოუწოდებდა, მათი უსაფრთხოებისთვის სამხრეთით წასულიყვნენ, მაგრამ საბრძოლო მოქმედებები იქაც აქტიურად მიმდინარეობს. ანკლავში მხოლოდ ორი საავადმყოფო დარჩა, რომლებიც, ავად თუ კარგად, ფუნქციონირებენ. დევნილ და ადგილობრივ მოსახლეობას კვლავ არა აქვს საკვები, წყალი, მედიკამენტები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ჩრდილოეთში.

ისრაელის არმია „ჰამასის“ მებრძოლების გამოვლინება-განადგურებას განაგრძობს. ღაზას სექტორში თავმოყრილია დიდძალი რაოდენობით ტანკები და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკა. გასულ კვირას კატარში კვლავ გაიმართა არაბთა ლიგის სამიტი, სადაც მხარეებს მოუწოდეს ცეცხლის შეწყვეტისკენ, რაზეც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ კვლავ უარი განაცხადა. მან კვლავ გაიმეორა, რომ ბრძოლები გამარჯვებამდე გაგრძელდება. ნეთანიაჰუ არც კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსებას ემხრობა. „...კარგად ვნახეთ, რაც მოუტანეს სამშვიდობო ძალებმა სხვა ქვეყნებს“, — განაცხადა ნეთანიაჰუმ. „ჰამასის“ ტყვეობაში კვლავ რჩება 137 მძევალი. როგორც „ჰამასის“ მეთაურები აცხადებენ, მათ მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ გაათავისუფლებენ. ამასობაში იზრდება მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, რომელთა რიცხვმა უკვე 18 ათასს გადააჭარბა.

საჯილდაო ქვად გადაიქცა უკრაინაში მიმდინარე ომი მისი მოკავშირე ქვეყნებისთვის. მართალია, რუსეთის ხელისუფლება დღემდე აცხადებს, რომ უკრაინაში მხოლოდ სპეციალურ სამხედრო ოპერაციას ატარებს, მაგრამ, ფაქტობრივად, ომი მიმდინარეობს, რომელიც არც უკრაინას გამოუცხადებია და არც რუსეთს. საინტერესოა უკრაინის ხელისუფლების პოზიცია — ქვეყანა დღემდე რჩება დსთ-ის წევრად, ორგანიზაციიდან გასვლაზე განაცხადი დღემდე არ გაუკეთებიათ. საგულისხმოა ერთი გარემოებაც: 2022 წელს დაწყებული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, ევროპული პრესის მონაცემებით, რუსეთში დროებით და მუდმივად საცხოვრებლად უკრაინიდან 11 მილიონი ადამიანი გადავიდა (ოკუპირებული, რუსეთთან ახალმიერთებული რეგიონების მოსახლეობის გარდა).

საგანგაშო ვითარებაა საბრძოლო მოქმედებების რაიონებში, უკრაინის შეიარაღებული ძალები დიდ დანაკარგებს განიცდიან. ზაფხულში დაწყებული კონტრშეტევიდან ისინი იძულებით თავდაცვაზე გადავიდნენ. გასულ კვირას უკრაინის თავდაცვის მინისტრმა რუსტამ უმეროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, დაკარგული ტერიტორიების 50% დავიბრუნეთო, მაგრამ ევროპული და ამერიკული პრესტიჟული გამოცემები ბრძოლის ველზე უკრაინის არმიის წარუმატებლობაზე ღიად და ბევრს საუბრობენ.

მთავარი პრობლემა უკრაინისთვის ფინანსური და შეიარაღებით დახმარება გახდა. ევროპელი მოკავშირე ქვეყნები თავად განიცდიან შეიარაღების დეფიციტს და დახმარების სურვილიც უკვე ნაკლებად აქვთ. გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა გასულ კვირას განაცხადა: „...გერმანია უკრაინასთან ალიანსში არ არის, არც მისი მოკავშირეა“. ამით, ფაქტობრივად, უარი თქვა უკრაინისთვის დახმარებაზე.

გაურკვევლობამ დაისადგურა აშშ-ის პოლიტიკოსებშიც. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების ნაწილი ემხრობა უკრაინისთვის დახმარების ახალი პაკეტის მიღებას. გასულ კვირას ცხარე დებატები გაიმართა საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატაში. კონგრესში განხილვისას დაგეგმილი იყო უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის ვიდეოჩართვა, მაგრამ კონგრესმენებმა უარი თქვეს მის მოსმენაზე.

რესპუბლიკელები ითხოვენ, ხელისუფლებამ ყურადღება გაამახვილოს მექსიკის საზღვართან შექმნილ მძიმე ვითარებაზე, საიდანაც დღე-ღამეში ათასობით არალეგალი შედის აშშ-ში. გასულ კვირას რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა — ერთ დღეში 12 ათასი(!) მიგრანტი შევიდა ქვეყანაში.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა სენატში. როგორც ცნობილია, უმრავლესობაში დემოკრატები არიან 51 წარმომადგენლით, ხოლო რესპუბლიკელებს 49 წარმომადგენელი ჰყავთ. კენჭისყრისას უკრაინისთვის დახმარების პაკეტის მიღებას 49 სენატორმა დაუჭირა მხარი, წინაღმდეგი 51 იყო. არ გაჭრა აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ვერც თხოვნამ და ვერც შანტაჟმა — „თუ უკრაინას არ დავეხმარებით, რუსეთთან მოგვიწევს ომიო“. მისივე თქმით, გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი უკრაინაში არ გაჩერდება.

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ცნობილმა ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა. სენატში კენჭისყრამდე გამოვიდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი. თურმე იგი პირდაპირ დაემუქრა კანონმდებლებს — თუ უკრაინისთვის დახმარებაზე უარს იტყვით, რუსეთთან საომრად თქვენს ახლო ნათესავებს გავაგზავნიო. კონგრესისა და სენატის სხდომები დახურული იყო. ჟურნალისტი ირწმუნება, რომ ინფორმაცია სანდო წყარომ მიაწოდა.

თეთრი სახლის ჩინოვნიკებიც უკრაინის მოვლენების მიმართ პესიმისტურად არიან განწყობილები. პრეზიდენტის თანაშემწემ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა გასულ კვირას განაცხადა: „...ჩვენ უკვე აღარ გვაქვს საშუალება, დავეხმაროთ უკრაინას“. საგულისხმო განცხადება გააკეთა თეთრი სახლის სპეცწარმომადგენელმა სტრატეგიულ საკითხებში ჯონ კირბიმ: „პენტაგონი უკვე ველარაფერს შეპირდება უკრაინას. ახლა მათ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ, როდის და რა პირობებით დაასრულებენ რუსეთთან ომს“.



კანონმდებლების დაყოლიება ვერ შეძლეს აშშ-ისა და ბრიტანეთის პირველმა დიპლომატებმა. ენტონი ბლინკენის განცხადებით: „უკრაინისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების 90% აშშ-ში რჩება, რაც ქვეყნის მრეწველობის განვითარებას ხმარდება“. ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ახლა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა დევიდ კემერონმა, რომელიც აშშ-ში ვიზიტით იმყოფებოდა, ორი საგულისხმო განცხადება გააკეთა. თავდაპირველად მან თქვა: „აშშ საკუთარი შეიარაღების 10%ს ხარჯავს, რითიც რუსეთს ვუნადგურებთ ტექნიკას და ცოცხალ ძალას ისე, რომ ბრიტანელი და ამერიკელი ჯარისკაცები არ იღუპებიან. მშვენიერი ინვესტიციაა“. მოგვიანებით კი განაცხადა: „ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და დავეხმაროთ უკრაინას როგორც ფინანსურად, ასევე იარაღით. თუ ასე არ მოხდა, მსოფლიოში მხოლოდ ორი ადამიანი იქნება ბედნიერი — პუტინი და სი ძინპინი“.

საშობაო არდადეგებამდე კანონმდებლებს კიდევ რამდენიმე სამუშაო დღე აქვთ. თუ ახლა არ მიიღეს დახმარების პაკეტი, საკითხის განხილვა თებერვლამდე გადაიწევს.

ერთ დღეში ერთბაშად ორ ქვეყანაში განახორციელა სამუშაო ვიზიტები რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. თავდაპირველად იგი არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ესტუმრა, იქიდან კი საუდის არაბეთში ჩავიდა. საუბრები ორივე ქვეყნის ხელისუფლების პირველ პირებთან დახურული იყო, ინფორმაცია ჭორის დონეზეც არ გავრცელებულა. საყურადღებო იყო დახვედრისა და შეხვედრების პომპეზურობა. პუტინის თვითმფრინავს ოთხი რუსული მოიერიშე აცილებდა სრული საბრძოლო აღჭურვილობით, რაც იშვიათი მოვლენაა. როგორც გაირკვა, საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინცმა მუჰამედ ბენ სალმანმა პუტინთან შეხვედრის მიზეზით ბრიტანეთში დაგეგმილი ვიზიტი გადადო, რითიც ბრიტანელები ძალიან გაანაწყენა.

უკვე აშკარა ხდება, რომ მსოფლიოში პოლიტიკური ვექტორი რედიკალურად იცვლება, რაც პუტინის არაბეთის ქვეყნებში სტუმრობამ და აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

**გია ბურდული**

# საქართველოს ვერ გააქრობ!

(დასაწყისი „სგ“ N38.)

კოლხებს ბიბლიამდე სიბრძნის ხუთი წიგნი ჰქონდათ: „ეფუთი“ – 7 000 წლის (ათი მცნება „ეფუთში ეწერა); „მარგალითი“ – 7 000 წლის; „ტოშფა“ – 3 500 წლის; „ტაბუ“ – 3 500 წლის; „კვიბრი“ (იგივე „ოქროს რინა“) – 3 500 წლის. როგორც გადმოცემამ შემოინახა, ეფუთი იყო საკაცობრიო ნამოღვაწარი. მასში გადმოცემული იყო წარსული და მომავალი, ისე სრულდებოდა ყოველივე, როგორც მასში ეწერა (უცნაურად „ემთხვევა“ 4 000 წლის შემდეგ შექმნილი ბიბლია დაკარგულ „ეფუთს“...).

„ოქროს საწმისის“ გატაცებაზე არსებობს ვარაუდი, რომ ბერძნები ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლოს გასატაცებლად იყვნენ ჩამოსულები, დამწერლობა კი, რომელითაც ეს ცოდნა იყო გადმოცემული, ერთადერთი ნიმუში უნდა ყოფილიყო კიდევ უფრო ძველი კოლხურისა, რისი წაკითხვაც მხოლოდ მედეას შეეძლო. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდიც, რომ მედეამ, რადგან რეალურად არ მოუკლავს თავისი ორი შვილი, დამალა ორი ასო, რომლის ამოკითხვის გარეშეც სრულად არ გაიხსნებოდა „საწმისი“. კვლავ ვარაუდის დონეზე – ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ ინახებოდა, მდებარეობდა იმერეთში და ეს არის ხვამლი, იდუმალებით მოცული მთა. პრომეთეს მიჯაჭვა მთაზე ერთი ერთზე მეორდება ამირანთან. პრომეთე – „მეთე“ ცოდნას ნიშნავს, ანუ საუბარია რაღაც საკრალურ ცოდნაზე რომელსაც პროტოქართველები ფლობდნენ.

რაც შეეხება „გრაალს“, რომელსაც კაცობრიობა უშედეგოდ ეძებს, ქართული ანბანით იშიფრება, როგორც „იბერია“. ამის შესახებ მოგვიანებით ვთქვათ ორიოდე სიტყვაო, – და აი, ვთქვათ.

ბატონი ალექსანდრე (იგი რედაქციაში ხაშურიდან გვეწვია და არ ისურვა არც გვარის გამხელა, არც საკონტაქტო მონაცემების დატოვება): „კოსმიური დანიშნულებით ქართველები და საქართველო გრაალის მცველები ვართ!

საქართველოს ნამდვილი ისტორიის დამალვა მეცნიერების ინტერესში არ არის, პირიქით, სწორედ ისინი ამტკიცებენ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია ძველი კოლხეთიდან იშვა, მაგრამ...

ვის და რაც უნდა, ის სარჩული დაუდოს – მსოფლიო ცივილიზაცია მართლაც ძველი კოლხეთიდან იწყება! მაიას ტომი კოლხეთიდან (საქართველოდან) არის ამერიკის კონტინენტზე გადასული! რას ნიშნავს მ-აია? – „აია“ კოდირებულია ამირანისგან... ადამის საფლავიც იქ არის, სადაც მინიშნებაა, ხაშური-ხარაგაულის მთის ქვეშ, იგივე ლიხის ქედი, სურამის ქედი, გეთსიმანიის ქედი, ამირანის ქედი. „სურამი“ კოდირებული სიტყვაა, რომლის გასაღები „ამირანია,“ უფრო ზუსტად კი „ამინ-ალი“... მსოფლიოში ადამიანების განთესვა მოხდა კოლხეთიდან (საქართველოდან). ქართული კოდირებული ენაა. სიტყვებში მარცვლები: „ალი“, „დონ“, „ამი“, „ონი“ – გასაღებს შეიცავს. ამაზე სასულიერო პირებთან რომ ვიწყებ საუბარს, გარბიან, მაგრამ არის ორი ეპისკოპოსი, რომელიც ყურადღებით მისმენს. ამ შემთხვევაში ბიბლიურ დონეებზეა სასაუბრო და ყველაფერი ერთად თავს იყრის აქ, საქართველოში, სადაც ღმერთის ადგილია – ფსალმუნებში ძალიან კარგადაა მინიშნებული ყველაფერი.

ამასწინათ, ერთ-ერთ შოუში პროფესიით ფიზიკოსი სასულიერო პირი იყო მიწვეული, საუბარი არამიწიერ ცივილიზაციას ეხებოდა. მღვდელმა ამო-ს თვითმხილველებს ერთ მომენტში „დაუტატანა“ – იქნებ, ჩვენც გვინახავს რამეო?! ჰოდა, თუ გინახავთ და რაიმე ფასეულ ინფორმაციას ფლობთ, ვის უნახავთ ამ ცოდნას? ამდენ მალვა-პარვაში მთლად გააფარჩაკეს საქართველოს ნამდვილი ისტორია, მისი მისტიკური არსი, მისი ნამდვილი დანიშნულება დედამიწაზე...

ახლა რასაც ვიტყვი, ძალიან ბევრისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, მაგრამ მისთვის, ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია წარსულის მაძიებელ, მის დამდგენ მეცნიერებებში და ცოტაოდენი ეზოთერიკისაც ესმის, ახალი და უცნაური არაფერი იქნება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით ჯერ ძალზე ვიწრო და ერთ წრეში გაჟონა ინფორმაციამ, რომ საქართველოში რაღაც „კოსმიური ზეგანძი მოიპოვებოდა“, შემდგომ კი უკვე წრე გაფართოვდა გარკვეული ორდენების სახით, მტერი და მოყვარედ მოსული მტერი არ დაელია საქართველოს. საქმე ის გახლავთ, რომ ის, ვინც მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფვის, ამ ადგილის გარეშე ვერაფერს მიაღწევს. მათი გეგმაა ახალი ადამიანის შექნა. ამ გეგმის უმთავრესი ნაწილია, რომ ჩვენ, კონკრეტულად ქართველებს, როგორც ამ ადგილის მფლობელებს, დაგვიკარგონ (გაგვიყალბონ) ისტორია, სარწმუნოება, ეროვნება, დაგვიკარგონ გენეტიკური მეხსიერება და უპირველესად კი ენა – ეს შეფარული ბრძოლა არ არის, პირდაპირ გვებრძვიან და ვაი, მას, ვინც ამას ვერ ხედავს!

მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა მომდინარეობს ქრისტეს გაჩენიდან, მანამდე ღმერთს ერქვა „ამირანი“ („ამინ-ალი“) – დაიმალა ეს სახელი, რომელსაც „ღმერთთა ღმერთი ღმერთი“ ჰქვია აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში ჰქვია დედამიწის ღვთაება. ამირანი არის ერთადერთი ცოცხალი ღმერთი და მან შექმნა ადამი – ამას ამბობს მათე 16;16. „ამირანი“ უნდა დამალულიყო გარკვეულ დრომდე.

ლაზარემ გაიღვიძა უკვე...

რატომ იჩქმალება მოვლენა, რომ ამოუცნობი ცეცხლის გადმოსვლა ხდება საქართველოში, ღმერთის მთაზე? – რაც ქარელიდან ჩანს. იმავე ადგილზე ოთხივ მხარეს მიმავალი ღრუბლებია – ასეთ ბუნებრივ მოვლენას სადმე ვინმე წაწყდომია? ღამე, როდესაც ნათელი, ვარსკვლავებიანი ცა არის, პირდაპირ ისახება ხე, რომელიც შემორაგულია ვარსკვლავებით – ეს ისეთი საიდუმლოა, რაც საქართველოს გარდა არსადა არის და ამაზე არ წერენ. ეს იგივეა რაც „ალი“, „დონი“, „სიონი“ და ა.შ. აქედან განთესილმა ხალხმა წაიღო ეს სახელები... თუ შეგიმჩნევიათ, მაგალითად, საფლავის ქვებზე, კუთხეში, ყველგან ძველი ქართული „დ“ არის გამოსახული) და „რ“ – ქრისტეს მიმანიშნებელი სიმბოლო – ეს ათასწლეულების წინანდელია, მაგრამ ენამ ბრწყინვალედ შემოინახა... „ონი“ – მზის ძველქართული სახელწოდება და ძველ ქართულ ანბანში „ონი“ სწორედ მზის დისკოს სახით გამოისახებოდა; ძველ ხეთურში „ონი“ „მზის ქალაქი“ იყო. ეს ვრცელი თემაა...

ძველ დროში კავკასია აღქმული იყო, როგორც სამყაროს ღერძი, გეოგრაფიული და მისტიკური საზღვარი, სადაც საკრალური მოვლენები დაიწყებოდა. ეზოთერული ნიშანი „GAF“, ანუ კავკასია, იდუმალ მეცნიერებაში გამოიყენება როგორც საზღვარი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან პლანეტის ბოროტი და კეთილი სულები...

რატომ მოკვდა ლაზარე, ეს ვრცელი და რთული თემაა, იმიტომ, რომ „დაეკარგება მათ ბრძენთა სიბრძნე და გონიერთა გონიერება“, – ქართველებმა დაკარგეს ყველაფერი, წყლულისგან გამომდინარე მიიძინეს და დღემდე ასეა... მთელი მსოფლიო საქართველოდან იმართებოდა, მაგრამ, როდესაც წყევლა იწყებს მოქმედებას, ეცემა სიძლიერე აი, აქ, კოლხეთის სამეფოზე და ვეღარ მართავს მსოფლიოს. „ქანაანი“ – იგივე მეგრელებისა და სვანების დასახლება იყო, „ქანი“ და „ანი“... დაიკარგა სიბრძნე, თითქოს მოკვდა ძალადაკარგული ლაზარე...

ღმერთის ძალა სიტყვაშია, „პირველად იყო სიტყვა“. სიტყვა არის ენის შემადგენელი – ღმერთის ენა ქართული ენაა, ანუ ამ ხალხის სიტყვას ჰქონდა ისეთი ძალა, რომ ბუნებრივი მოვლენების გამოწვევა შეეძლოთ. ებრაელების დაწყევლის შემდეგ დაიკარგა ეს ძალა და, შესაბამისად, ცოდნაც...

ბიბლია არ არის მოთხრობა. მართალია, ის გადაწერილია დაკარგული (თუ მოპარული?) „ეფუთიდან“, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ბიბლია დაშიფრული ფაქტებია. „ლაზარეს“ სიკვდილიდან აღსადგენად ლაზარე შეტანილი იქნა სახარებაში, ის ორ-სამჯერაა ნახსენები ლუკას სახარებაში. იოანე ზოსიმე წერს, რომ ლაზარე არის ღმერთის ენა, ეს ენა არის ქართული და ეს თქვა ღმერთმა... მოკლედ რომ ვთქვათ, ცოდნა დაკარგულია და მერე წერენ ებრაელები...

ეროვნება ამოგვიშალეს, ენას პირდაპირ რომ ვერ მიადგნენ (კი მიადგნენ, მაგრამ ვერ გაიტანეს), ეშმაკურად დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ ცოტა რომ გადაგვაჭარბებენ ვიღაცები, ენასაც ამოგვიშლიან. სანაცვლოდ, სხვები სწავლობენ ქართული ენას, რადგან ფრთხილობენ, არ დაკარგონ ის ცოდნა, რომლის გაგებაც მხოლოდ ქართულადაა შესაძლებელი, გრაალი!“

მავანთათვის, ალბათ, ერთგვარად გაურკვეველი დარჩება ბატონი ალექსანდრეს მიერ „წამოსროლილი“ მარცვლები და ფრაზები...

რადგან გაზეთის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად მოკლედ გავშალოთ ის, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო (ეჭვი მაქვს, ქალბატონ ნაზის უნდა ეკუთვნოდეს) – იესო ეუბნება ლაზარეს დას, მართას: „ლაზარე არ მომკვდარა და აღდგება“. მართა პასუხობს: „ვიცი, აღდგება აღდგომის ბოლო დღეს.“ წერილის ბოლოს წერია: „სასწაულად აქუს – 94 წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლიდან ვიდრე დღესამომდე“ და „ასი ესე წელი ანბანისაი“ და აქ ნამდვილად სასწაული მოაქვს ამ ინფორმაციის სახით. ე.ი. 100X (წ=4 000)=400 000-ს და ვღებულობთ ფანტასტიკურ ციფრს, რომელიც ადასტურებს ჩვენი (იბერიული მოდგმის) ატლანტების შთამომავლობას, ანუ ჩვენ ღვთის შვილობას, ორიონელობას, ანუ მონადირის, ამირანის მამის შემოსვლას დედამიწაზე!..

| | OLD | | | | | | OLD | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Mrglovani | Khutsuri | Mkhedruli | Name | Numbers expressed by the letters | | Mrglovani | Khutsuri | Mkhedruli | Name | Numbers expressed by the letters |
| 1 | Ⴀ | ⴀ | ა | ან | 1 | 20 | Ⴑ | ⴑ | ს | სან | 200 |
| 2 | Ⴁ | ⴁ | ბ | ბან | 2 | 21 | Ⴒ | ⴒ | ტ | ტარ | 300 |
| 3 | Ⴂ | ⴂ | გ | გან | 3 | 22 | Ⴣ | ⴣ | ჳ | ჳიე | 400 |
| 4 | Ⴃ | ⴃ | დ | დონ | 4 | 23 | Ⴓ | ⴓ | უ | უნ | — |
| 5 | Ⴄ | ⴄ | ე | ენ | 5 | 24 | Ⴔ | ⴔ | ფ | ფარ | 500 |
| 6 | Ⴅ | ⴅ | ვ | ვინ | 6 | 25 | Ⴕ | ⴕ | ქ | ქან | 600 |
| 7 | Ⴆ | ⴆ | ზ | ზენ | 7 | 26 | Ⴖ | ⴖ | ღ | ღან | 700 |
| 8 | Ⴡ | ⴡ | ჱ | ჰე | 8 | 27 | Ⴗ | ⴗ | ყ | ყარ | 800 |
| 9 | Ⴇ | ⴇ | თ | თან | 9 | 28 | Ⴘ | ⴘ | შ | შინ | 900 |
| 10 | Ⴈ | ⴈ | ი | ინ | 10 | 29 | Ⴙ | ⴙ | ჩ | ჩინ | 1000 |
| 11 | Ⴉ | ⴉ | კ | კან | 20 | 30 | Ⴚ | ⴚ | ც | ცან | 2000 |
| 12 | Ⴊ | ⴊ | ლ | ლას | 30 | 31 | Ⴛ | ⴛ | ძ | ძილ | 3000 |
| 13 | Ⴋ | ⴋ | მ | მან | 40 | 32 | Ⴜ | ⴜ | წ | წილ | 4000 |
| 14 | Ⴌ | ⴌ | ნ | ნარ | 50 | 33 | Ⴝ | ⴝ | ჭ | ჭარ | 5000 |
| 15 | Ⴢ | ⴢ | ჲ | ჲე | 60 | 34 | Ⴞ | ⴞ | ხ | ხან | 6000 |
| 16 | Ⴍ | ⴍ | ო | ონ | 70 | 35 | Ⴤ | ⴤ | ჴ | ჴარ | 7000 |
| 17 | Ⴎ | ⴎ | პ | პარ | 80 | 36 | Ⴟ | ⴟ | ჯ | ჯან | 8000 |
| 18 | Ⴏ | ⴏ | ჟ | ჟან | 90 | 37 | Ⴠ | ⴠ | ჰ | ჰაე | 9000 |
| 19 | Ⴐ | ⴐ | რ | რაე | 100 | 38 | Ⴥ | ⴥ | ჵ | ოჰ(ჰოე) | 10000 |

oxun.ge

თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული ანბანი უნიკალურია ყველა იმ ანბანს შორის, რომელიც ოდესმე არსებულა და არსებობს. საუბარია კოლხ ქურუმთა ანბანურ სისტემაზე, რომელსაც იმ დროშიც ვერავინ წაიკითხავდა ქურუმთა ვიწრო წრის გარდა და, რა თქმა უნდა, უზენაესისგან დასმული ხელისუფალის გარდა.

ჩვენამდე მოღწეული ანბანური დამწერლობის ძეგლები იწყება ძვ. წ. XVIII საუკუნეში. ეს არის სემური ენების მონათესავე ენების, ანუ ებრაელების, ქანაანელების, უგარიტელების, მოაბელის, ფინიკიელების, არამეელების დამწერლობა.

ანბანურ დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია არა ქურუმთა ანბანური სისტემა, არამედ მისი საყოველთაო, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმა.

ანბანური დამწერლობის უპირველესი არსი და რაობა არის, რომ ის ერთდროულად არის ბგერისა და რიცხვის სიმბოლო.

ჩვენ გვაქვს IV საუკუნის თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც დაფარულად დევს ქართული ენის შესახებ ინფორმაცია.

ქართული ანბანი შექმნილია დრო-ჟამის (კალენდრის) სათვალავის საფუძველზე.

ძველი ქართველები მთვარის ღმერთის თაყვანისმცემლები იყვნენ და მთვარის კალენდარულ სისტემას იყენებდნენ, თუმცა ეს ეპოქა დასრულდა და დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა.

ბაბილონის ცივილიზაციაში იყო მთვარის კალენდარი, ეგვიპტეში – მზის მოძრავი კალენდარი. პირველი უძრავი კალენდარი შემოიღო იულიუს კეისარმა ძვ. წ. 45 წელს.

ქართულ ანბანში დადასტურებულია უძრავი მზის კალენდარი, რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც მთვარის კალენდარული სისტემიდან მზის კალენდარულ სისტემაზე გადავედით. ქართული ანბანის შექმნა დაიწყო ძვ. წ. 540 წელს, დასრულდა 476 წელს და ამოქმედდა 445 წელს.

ქართულ ანაბანს შენარჩუნებული აქვს:

8-წლიანი ბაბ. კალ. სისტემა;

მზე-მთვარის 19-წლიანი კალ. სისტემა;

4-წლიანი ჟამეული ნაკიანი წელიწადით (366) მესამე წელს;

მზისა და მთვარის დაბნელებები;

მზის 32-წლიანი ჟამეული;

მზის 128 წლიანი ჟამეული;

128-წლიანი ჟამეულის 95-ე წელი არის უნაკო – ეს მეცნიერებმა არცთუ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს. ეს აღმოჩენა ადასტურებს იმას, რომ ქართული კალენდარი უფრო ზუსტია ვიდრე იულიანური ან გრიგორიანული. ქართული კალენდარი ანგარიშობს წამებში, იულიანური კალენდარი 11 წუთისა და 14 წამის შეცდომას უშვებს, რაც საკმაოდ დიდი დროა, რომელიც 10 საუკუნეში რამდენიმე დღედ იქცევა. ამიტომაც შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი, რომ სადღესასწაულო თარიღების გადაწევისას ეს ცდომილებები გაესწორებინათ.

**მაკა ჯაყელი**

(დასასრული იქნება)

# ხავიერ მილეი: „ძაღლები საუკეთესო ანალიტიკოსები არიან!“



სულ ცოტა ხნის წინ აგრენტინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც მემარჯვენე ხავიერ მილეიმ გაიმარჯვა და ქვეყნის პრმეზიდენტი გახდა. თაყვანისმცემლები მას შეშლილად მოიხსენიებენ დაუნდობელი ხასიათისა და დაუმორჩილებელი თმის გამო, არგენტინელი პოლიტიკოსი კი საკუთარ თავს ლომს უწოდებს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს ძაღლების რჩევებს ითვალისწინებს...

### ხავიერ მილეი სამინისტროების წინააღმდეგ

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ხავიერ მილეი მხოლოდ საჯარო პირი იყო, რომლის უცენზურო გამონათქვამები მმართველი კლასისა და სახელმწიფოს ხარჯების წინააღმდეგ მსოფლიოში არგენტინული მედიის რეიტინგს ზრდიდა. იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის იმ ქვეყნის პრეზიდენტი გახდებოდა, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში სიდიდით მეორე ეკონომიკა აქვს. 53 წლის მილეის რადიკალურმა პროექტებმა, რომლებიც ინფლაციისა და სოციალიზმის შეჩერებას ისახავდა მიზნად, მისი მასშტაბური მხარდაჭერა უზრუნველყვეს.

მილეის ეკონომიკური გეგმის მთავარი იდეა ქვეყნის ვალუტის აშშ-ის დოლარით ჩანაცვლებაა. ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის პერიოდში მილეიმ განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის რუსეთთან, ბრაზილიასთან და ჩინეთთან ურთიერთობის გაწყვეტას აპირებს და ბრიქსში შესვლას გამორიცხავს. თავის პრიორიტეტულ მოკავშირეებად კი აშშ-სა და ისრაელს მიიჩნევს.

მილეიმ არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული ინფლაციის შეჩერება, რომელმაც არგენტინაში 140 პროცენტს გადააჭარბა, პოლიტიკოსებისთვის ფულის დაბეჭდვის აკრძალვაა. პირველ რიგში, ახალი პრეზიდენტი ცენტრალური ბანკის გაუქმებას გეგმავს, რომელსაც თაღლითობის ბუდეს უწოდებს და იმ მექანიზმად მიიჩნევს, რომლის საშუალებითაც კარგ ხალხს ატყუებენ. იგი ბიტკოინის მომხრეა და ფიქრობს, რომ ბიტკოინის ქვეყანაში დამკვიდრებით ფული მის შემქმნელთან – კერძო სექტორთან დაბრუნდება.

არგენტინის ახალი პრეზიდენტი მხარს უჭერს ეკონომიკური აზროვნების ავსტრიულ სკოლას და თავს „მოკლევადიან მონარქისტად“ და, ამასთან, „ფილოსოფოს ანარქისტ-კაპიტალისტად“ მიიჩნევს. ის საკუთარ ქვეყანას საგადასახადო ჯოჯოხეთად მოიხსენიებს და სახელმწიფო ხარჯების შემცირების მომხრეა. ამის გამო ის აპირებს სამინისტროების ნახევარის ლიკვიდაციას, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების ჩათვლით.



ხავიერ მილეი ფემინისტური დღის წესრიგს არ ცნობს და აბორტების წინააღმდეგ გამოდის, არგენტინაში უკანასკნელ წლებში რომ დაკანონდა. გარდა ამისა, ის მხარს უჭერს იარაღის თავისუფლად ტარებას, ნარკოტიკების ლეგალიზაციას და ადამიანების ორგანოებით ვაჭრობას, ასევე, დასცინის ადამიანის როლის მნიშვნელობას კლიმატის შეცვლაში. ტელევიზიაში გამოსვლის დროს სოციალური სამართლიანობის დაცვის გამო მან იმბეცილად მოიხსენია რომის პაპი ფრანცისკე და მას დედამიწაზე ბოროტების წარმომადგენელი უწოდა.

ხავიერ მილეი აღფრთოვანებულია დონალდ ტრამპით და ამბობს, რომ ისიც იზიარებს მისს ლოზუნგს ამერიკისთვის წარსული დიდების დაბრუნების შესახებ და თვითონაც აპირებს, არგენტინას წარსული დიდება დაუბრუნოს.

### ტანტრული სექსის გურუ

ბუენოსაირესელი ავტობუსის მძღოლისა და დიასახლისის ვაჟს, არგენტინის მომავალ პრეზიდენტს მშობლების შესახებ საუბარი არ უყვარს, რადგან მამასთან ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მხოლოდ დასთან ურთიერთობს, რომელიც მისი წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა და მას ხელისუფლებაში თავისი მოსვლის არქიტექტორად მოიხსენიებს.

ხავიერი ახალგაზრდობაში მუსიკალურ ჯგუფში უკრავდა და ახალგაზრდულ დივიზიონში ერთ-ერთი ცნობილი საფეხბურთო გუნდის მეკარეც იყო, მაგრამ 1980-აინ წლების დასასრულს ფეხბურთს თავი დაანება და ეკონომიკის შესწავლა გადაწყვიტა.

ბელგრანოს უნივერსიტეტის დაწრულების შემდეგ მილეიმ ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო, შემდეგ კი მაგისტრის ორი ხარისხი მოიპოვა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინსტიტუტსა და ტორკუატოდი-ტელას უნივერსიტეტში. 20 წელზე მეტხანს არგენტინისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა ლექციებს მაკრო და მიკროეკონომიკაში, ეკონომისტებს ასწავლიდა მათემატიკას, მონეტარულ პოლიტიკას, ფინანსურ თეორიებსა და ეკონომიკური ზრდის თეორიებს, მონაწილეობდა კონფერენციებში, წერდა სამეცნიერო შრომებს, გამოსცემდა წიგნებს. 2012 წლიდან მილეიმ მედიაში მასალების ბეჭდვა და ტელევიზიებში გამოსვლები დაიწყო, რისი წყალობითაც ფართო პოპულარობა მოიპოვა.

ტელევიზიით გამოსვლისას ის არამარტო ეკონომიკაზე და პოლიტიკაზე საუბრობდა, არამედ პირად ცხოვრებაზეც და განაცხადა, რომ ტანტრული სექსის მწვრთნელად მუშაობდა.

### ფატიმა ფლორესი

დიდი ხნის განმავლობაში ხავიერ მილეის რომანტიკული ურთიერთობები არ ჰქონია, შარშან კი ურთიერთობა გააბა მსახიობ ფატიმა ფლორესთან, რომელიც პაროდიების შესრულებით გახდა ცნობილი.

ფლორესი მარტო სამსახიობო ნიჭის გამო არ შეუყვარებიათ არგენტინელებს, იგი თავის კონტენტზე საკმაოდ გულახდილ ფოტოებს აქვეყნებს, სადაც სხვადასხვა ფერის საცურაო კოსტიუმებსა და ბიკინებში გამოწყობილი პოზირებს. სამაგიეროდ, პირადი ცხოვრების შესახებ არაფერს ამხელს.

ფლორენსმა და მილეიმ 2022 წლის დეკემბერში გაიცნეს ერთმანეთი ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში მონაწილეობის დროს და მას შემდეგ მათ შორის რომანტიკული ურთიერთობა დაიწყო. მათი რომანის შესახებ არგენტინელმა ჟურნალისტმა მარინა კალაბრომ ამცნო საზოგადოებას. არავინ იცის, გახდება თუ არა ფატიმა ფლორესი პირველი ლედი, თუ მხოლოდ პრეზიდენტის შეყვარებულის სტატუსის ამარა დარჩება.

### ძაღლების სიყვარული

დღეისათვის მილეის ერთადერთი სიყვარული, რაც პრესისთვის დანამდვილებით არის ცნობილი, — მისი ძაღლები არიან. საპრეზიდენტო არჩევნების ფინიშზე მან მადლობა გადაუხადა „საუკეთესო სტრატეგებს“ — თავის ინგლისურ მასტიფებს, რომლებსაც თავის ოთხფეხა შვილებს უწოდებს.

ძაღლებთან ხავიერის მჭიდრო სიყვარული 2004 წლიდან იწყება, როდესაც ინგლისური მასტიფის ჯიშის ძაღლი გაიჩინა. უშვილო მარტოხელა ადამიანისთვის ის ნამდვილ მეგობრად იქცა, რომელიც მუდამ მის გვერდით იყო.

ძაღლის სიკვდილის შემდეგ, 2017 წელს მილეი მედიუმთან მივიდა, საყვარელ ძაღლს რომ დალაპარაკებოდა. სეანსის დროს თითქოს ძაღლმა მილეის მოუწოდა, არგენტინის პრეზიდენტი გამხდარიყო. დანაკარგით განადგურებულმა მილეიმ 50 ათასი დოლარი გადაუხადა კომპანია PerPETuate-ს მისი ძაღლის დნმ-ის გამოყენებით კლონის შექმნისთვის. ასე გაჩნდა ხუთი ლეკვი, რომელთაგან ერთს ძველი მეგობრის სახელი კონანი დაარქვა, დანარჩენებს კი ცნობილი ეკონომისტებისა. კონანის კლონს მილეი საკუთარ ვაჟს უწოდებს.

არგენტინელმა ჟურნალისტმა, რომელიც შეშფოთებულია ისედაც არასტაბილურ ქვეყანაში ასეთი არასტაბილური ლიდერის არჩევით, ხავიერ მილეის არასანქცირებული ბიოგრაფია დაწერა, ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუს დროს კი განაცხადა: „ადამიანი, რომელმაც ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვიტოს, ყოველდღე ძაღლებთან სპირიტულ სეანსებს ატარებს და ამის შემდეგ გამოსცემს ბრძანებებს“.

როცა თვითონ მილეის ჰკითხეს თავისი დამრიგებლების შესახებ, მან გულახდილად თქვა: „ამბობენ, რომ ძაღლები განსაზღვრავენ ჩემს სტრატეგიებს? ასეა. ამბობენ, რომ ისინი ჩემი „სტრატეგიული კომიტეტია?“ დიახაც, ჩემი ძაღლები მსოფლიოში საუკეთესო სტრატეგიული კომიტეტის წევრები და საუკეთესო ანალიტიკოსები არიან“.

ისე, საინტერესოა, რომელ ცხოველებს შეუძლიათ ხავიერ მილეის ძაღლებისთვის კონკურენციის გაწევა და იციან თუ არა სხვა ქვეყნების პრეზიდენტებმა, როგორ გამოიყენონ მათი (ცხოველების) ფარული შესაძლებლობები?

**ბელა გველესიანი**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99